



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსეთის მიერ ოკუპირებული  
საქართველოს რეგიონები:  
2024 წლის მთავარი მოვლენები  
და ტენდენციები

მამუკა კობახია

თბილისი  
2024

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი 2024 წელი



**რუსეთის მიერ ოკუპირებული  
საქართველოს რეგიონები:  
2024 წლის მთავარი მოვლენები  
და ტენდენციები**

მამუკა კომახია

შესავალი .....	3
უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის გავლენა ოკუპირებულ რეგიონებზე .....	4
ოკუპირებული რეგიონების „საგარეო-პოლიტიკური“ აქტივობა .....	7
აფხაზეთი .....	7
ცხინვალის რეგიონი .....	10
პუტინის „არჩევნები“ .....	12
კურატორები .....	13
მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები ოკუპირებულ რეგიონებში .....	15
აფხაზეთი .....	15
ცხინვალის რეგიონი .....	17
„ჯამშური ომები“ .....	18
საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები და გადაწყვეტილებები .....	19
შეხვედრები ჟენევაში და ერგნეთში .....	22
ოკუპირებული აფხაზეთი: რუსეთთან ურთიერთობების გაუარესება და სანქციები .....	24
აპარტამენტები და აპარტოტელები: ბჟანიას მარცხი .....	27
პოლიტიკური კრიზისი ოკუპირებულ აფხაზეთში და „პრეზიდენტის“ გადადგომა .....	29
ენერგოკრიზისი და კრიპტოვალუტების წინააღმდეგ ბრძოლა .....	32
ბრძოლა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და „კანონი უცხოეთის აგენტების“ შესახებ .....	33
რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტი ოჩამჩირეში – როდის აშენდება ახალი რუსული სამხედრო ბაზა? .....	36
საკონტინენტო ტერმინალი ოჩამჩირეში .....	40
ხანძარი გალერეაში .....	41
არალეგიტიმური საპარლამენტო არჩევნები ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში .....	42
რატომ ამბობს უარს რუსეთი ცხინვალის რეგიონის შეერთებაზე? .....	44
ახალგორის რაიონის რუსიფიკაცია .....	45
რა შეიძლება მოხდეს 2025 წელს? .....	46
პროექტის „კრემლის პოლიტიკის გამკვლევითი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში“ შესახებ .....	48

რონდელის ფონდის მკვლევრები 2024 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პროცესებს და ამ საკითხზე არაერთი სტატია და კვლევა გამოაქვეყნეს. წინამდებარე გამოცემისთვის შეირჩა 2024 წელს ოკუპირებულ რეგიონებში მომხდარი ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებიც მკითხველს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების უკეთ გაგებაში დაეხმარება. გამოცემა, ძირითადად, რონდელის ფონდის მკვლევრების სტატიებსა და კვლევებს ეყრდნობა და 2024 წლის მთავარი მოვლენების ერთგვარი შეჯამების მცდელობაა. გამოცემაში არ შევსებთ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა „ბორდერიზაცია“ და საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებები. ეს თემები რონდელის ფონდის სხვა გამოცემებშია განხილული.

აფხაზეთში მთავარი მოვლენა იყო 2024 წლის ბოლოს განვითარებული პოლიტიკური კრიზისი, რასაც დე ფაქტო პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას, ვადამდე გადადგომა მოჰყვა. კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი იყო რუსეთთან გაფორმებული ე.წ. საინვესტიციო შეთანხმება, რომლის რატიფიკაციასაც ეწინააღმდეგებოდნენ ბჟანიას ოპოზიცია და ადგილობრივი საზოგადოების დიდი ნაწილი – შეთანხმების რატიფიკაციას ისინი „სუვერენიტეტის“ დაკარგვის ტოლფასად მიიჩნევდნენ.

ბჟანიას გუნდს ძვირი დაუჯდა ე.წ. საინვესტიციო შეთანხმების რატიფიკაციისა და ე.წ. აპარტამენტების საკითხის ჩავარდნა, ასევე, ე.წ. უცხოეთის აგენტების შესახებ კანონის მიღებაზე არსებული გაურკვევლობა. 2024 წლის 1 სექტემბრიდან რუსეთმა პრაქტიკულად სანქციები დაუწესა აფხაზეთს და ნაწილობრივ შეუწყვიტა დაფინანსება, პრობლემები შეიქმნა რუსეთიდან ელექტროენერჯის მიღების მხრივაც, რის გამოც აფხაზეთში ენერგოკრიზისია, რაც ბევრს 1992-1993 წლების ომის შემდგომ შექმნილ მძიმე პერიოდს ახსენებს.

2024 წელს აფხაზეთში რუსეთის მხარდაჭერით მიმდინარეობდა სოხუმის აეროპორტისა და ოჩამჩირეში საკონტინენტო ტერმინალის მშენებლობა, თუმცა გაურკვეველია ოჩამჩირის პორტში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტის გახსნის საკითხი, რის შესახებაც ჯერ კიდევ 2023 წელს განაცხადეს. არსებული ინფორმაციით, ოჩამჩირის პორტში გარკვეული ინფრასტრუქტურული სიახლეები შეიმჩნევა, მაგრამ ეს შეიძლება პირდაპირ არ უკავშირდებოდეს სამხედრო ბაზის მშენებლობას.

ცხინვალის რეგიონში მთავარი მოვლენა იყო არალეგიტიმური საპარლამენტო არჩევნები. „არჩევნების“ შედეგად, დე ფაქტო პრეზიდენტის – ალან გაგლოევის პოლიტიკური გავლენა გაიზარდა. იგი დე ფაქტო ხელისუფლების ყველა შტოს აკონტროლებს.

ოკუპირებული რეგიონების აღიარების მხრივ 2024 წელს წინსვლა არ შეინიშნებოდა. ბელარუსი ჯერ კიდევ ახერხებს გაუძლოს რუსეთის ზეწოლას და თავს იკავებს აღიარებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსის ლიდერი 2022-2023 წლებში ორჯერ შეხვდა ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერს, რაც აღიარებისთვის ქმნიდა წინაპირობას. მას შემდეგ, რაც სირიის ლიდერი ბაშარ ალ-ასადი მოსკოვში გაიქცა, გაურკვევლობაა სირიის მიერ ოკუპირებული რეგიონების აღიარების მხრივაც. 2024 წლისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო, თუ რას მოიმოქმედებდა სირიის ახალი ხელისუფლება.

წინამდებარე გამოცემაში ასევე ვისაუბრებთ უკრაინაში მიმდინარე რუსეთის სამხედრო აგრესიის გავლენაზე რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებზე, რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად სრულად არიან რუსეთზე დამოკიდებული.

რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში სხვა საინტერესო მოვლენებიც მოხდა, თუმცა ჩვენი გამოცემის ფორმატიდან გამომდინარე, შევეცადეთ მხოლოდ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე გაგვემახვილებინა ყურადღება, რომლებიც 2025 წლის ტენდენციებზეც იქონიებს გავლენას.

# უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის გავლენა ოკუპირებულ რეგიონებზე

უკრაინაში მიმდინარე რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია გავლენას ახდენს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებზეც, რომლებიც პოლიტიკურად, ეკონომიკურად და უსაფრთხოების კუთხით სრულად არიან რუსეთზე დამოკიდებული.

## სამხედრო აგრესიაში მონაწილეობა

რუსეთის სამხედრო აგრესიაში ოკუპირებული რეგიონების მონაწილეობას ძირითადად სიმბოლური ხასიათი აქვს. მათ მონაწილეობას არ აქვს ორგანიზებული სახე და ძირითადად სხვადასხვა ტიპის ჰუმანიტარული ღონისძიებებით შემოიფარგლება.

დე ფაქტო ხელისუფლებებისგან დამოუკიდებლად უკრაინაში ძირითადად მოხალისეები იბრძვიან. არის შემთხვევები, როდესაც მოხალისეების გარდა, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობენ ოკუპირებულ რეგიონებში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზის ადგილობრივი სამხედრო მოსამსახურეებიც, რომლებიც რუსულ არმიაში კონტრაქტის საფუძველზე მსახურობენ. 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ, ღია წყაროებით დადასტურებული ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონიდან დაიღუპა 70-მდე, აფხაზეთიდან კი - 40-მდე მებრძოლი. ეს მონაცემები არ მოიცავს იმ მებრძოლების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც ამ ეტაპზე დაკარგულად ითვლებიან და მათი დაღუპვის შესახებ ინფორმაცია არ არის დადასტურებული.

ოკუპირებული რეგიონებიდან უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს დაღუპული მებრძოლების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ.: [ინტერაქტიურ რუკაზე](#).

ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში უკრაინაში მიმდინარე ომი შიდაპოლიტიკური ბრძოლის კონტექსტშიც მნიშვნელოვანია. მოქმედი დე ფაქტო პრეზიდენტი ალან გაგლოვევი პერიოდულად სტუმრობს უკრაინის რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებს და იქ მებრძოლ ოს სამხედროებს საჩუქრებს გადასცემს, ასევე პერიოდულად უგზავნის მათ სხვადასხვა სახის ჰუმანიტარულ დახმარებას.

უკრაინაში რუსეთის სამხედრო კამპანიაში მონაწილეობს გაგლოვევის წინამორბედი, ანატოლი ბიბილოვი, რომელიც აქტიურად ამუშავებს თავის „საბრძოლო“ საქმიანობას. ბიბილოვი, რომელიც 2022 წელს გაგლოვეთან „საპრეზიდენტო არჩევნებში“ დამარცხდა, 2024 წლის „საპარლამენტო არჩევნებში“ რევანშისტოვის ემზადებოდა და დონბასში „მოღვაწეობას“ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად განიხილავდა, მაგრამ ეს ფაქტორი მას გამარჯვებაში ვერ დაეხმარა. თუმცა, ბიბილოვმა სხვა მხრივ მოიპოვა „აღიარება“. გაერთიანებულმა სამეფომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების პაკეტის ფარგლებში ბიბილოვს 2024 წლის 7 ნოემბერს [სანქციები დაუწესა](#). 56 ახალი სანქციის სამიზნეები გახდნენ ის მომწოდებლები, რომლებიც რუსეთის სამხედრო წარმოებას ეხმარებიან, ასევე რუსეთის მიერ მხარდაჭერილი დაქირავებული ჯგუფები, რომლებიც სუბსაჰარის აფრიკაში მოქმედებენ – კრემლთან დაკავშირებული 3 კერძო დაქირავებული ჯგუფი და ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული 11 პირი. ბიბილოვს კრემლთან დაკავშირებულ კერძო დაქირავებულ ჯგუფებთან კავშირის გამო დაუწესეს სანქციები, რაც მოიცავს აქტივების გაყინვას, მოგზაურობის აკრძალვას და სანქციებს სატრასტო მომსახურებაზე.

„ანატოლი ილიჩ ბიბილოვი მონაწილეობს ან მონაწილეობდა უკრაინის დესტაბილიზაციაში, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შელახვაში ან მისთვის საფრთხის შექმნაში, რადგან იგი მონაწილეობს, მხარს უჭერს ან ხელს უწყობს ნებისმიერ პოლიტიკას ან ქმედებას, რომელიც დესტაბილიზაციას ახდენს უკრაინაში, ძირს უთხრის ან საფრთხეს უქმნის მის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას“, - [ნათქვამია](#) გაერთიანებული სამეფოს მთავრობის განცხადებაში.

## ეკონომიკური გამოწვევები

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკა პრაქტიკულად მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული. ორივე ოკუპირებული რეგიონის „ბიუჯეტის“, ხელფასებისა თუ პენსიების დიდ ნაწილს რუსეთი უზრუნველყოფს. უკრაინაში მიმდინარე რუსეთის სამხედრო აგრესია და რუსეთისთვის დაწესებული სანქციები ოკუპირებული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც ნეგატიურად აისახება. რუსული დაფინანსების მოსალოდნელი შემცირების შესახებ ღიად ლაპარაკობენ ოკუპირებული რეგიონების დე ფაქტო ლიდერებიც. ისინი ცდილობენ რუსეთის სახელმწიფო დაფინანსების ალტერნატიული გზები მოძებნონ, რაც ხშირად ადგილობრივ ეკონომიკაში ისევ რუსი კერძო ინვესტორების მოზიდვას ნიშნავს.

უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ომის გამო რუსეთს უწევს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებებიც, რომლებიც ნეგატიურად აისახება ოკუპირებულ რეგიონებზეც. მაგ., 2023 წლის 16 დეკემბერს რუსეთის [გადაწყვეტილებით](#), „როსნეფტმა“ და მისმა შვილობილმა კომპანიებმა ექვსი თვის განმავლობაში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ნავთობპროდუქტების ექსპორტის ექსკლუზიური უფლება მიიღეს. ამ გადაწყვეტილების შედეგად, 2024 წლის დასაწყისში ოკუპირებულ რეგიონებში სანავთობის კრიზისი შეიქმნა. კომპანიები, რომლებსაც მანამდე ჰქონდათ კონტრაქტები გაფორმებული და ფული გადახდილი, ახალი რეგულაციის გამო შეძენილი ნავთობპროდუქტების ოკუპირებულ რეგიონებში შეტანა ვეღარ შეძლეს და ბენზინგასამართი სადგურების მუშაობის შეჩერება მოუწიათ.

2024 წლის 19 სექტემბერს ცნობილი [გახდა](#), რომ ჩრდილოეთ კორეასა და რუსეთს შორის უკანონო გადახდების მექანიზმში მონაწილეობის გამო აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტმა სანქციების სიაში [შეიყვანა](#) ხუთი იურიდიული და ერთი ფიზიკური პირი. იურიდიულ პირებს შორის არის ცხინვალში რეგისტრირებული „საერთაშორისო ანგარიშსწორების [ბანკიც](#)“. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის [შეფასებით](#), ეს ორგანიზაციები და ფიზიკური პირი მონაწილეობენ უკანონო ფინანსურ სქემებში, რაც ჩრდილოეთ კორეას საშუალებას აძლევს მიიღოს წვდომა საერთაშორისო საბანკო სისტემაზე ფინანსური სანქციების დარღვევის გზით. სანქციები გათვალისწინებულია გაეროს უშიშროების საბჭოს 1718-ე რეზოლუციით და ჩრდილოეთ კორეის ბანკებთან საკორესპონდენციო ურთიერთობის აკრძალვის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს 2270-ე რეზოლუციით.

„საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი“ 2015 წელს დარეგისტრირდა. „Meduza“-ს 2018 წლის ოქტომბრისა და „Washington Post“-ის 2018 წლის ნოემბრის ჟურნალისტური გამოძიებების მიხედვით, ბანკი საგანგებო შავი სქემისთვის შეიქმნა, რომელშიც ჩართული იყო რუსეთი, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი და დონეცკისა და ლუჰანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკები. 2024 წლის თებერვალში „The New York Times“-მა გამოაქვეყნა [ინფორმაცია](#), რომლის თანახმადაც, ჩრდილოეთ კორეამ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მოქმედ ბანკში ანგარიში გახსნა. სტატიაში არ იყო მითითებული, მაგრამ, სავარაუდოდ, საუბარი იყო „საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკზე“.

2023 წელს აღნიშნული ბანკი ევროკავშირის მიერ დაწესებულ სანქციების [მე-11 პაკეტშიც მოექცა](#). დოკუმენტის მიხედვით, „ბანკი“ საქმიანობს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ხერსონსა და ზაპოროჟიეში და რუსეთის ცენტრალური ბანკის კონტროლქვეშ ახორციელებს ზოგიერთ საბანკო მომსახურებას. „ბანკს“ ფილიალი აქვს გახსნილი ლუჰანსკშიც. „ბანკი“ ცხინვალის რეგიონის „ბიუჯეტში“ ერთ-ერთ მსხვილ გადასახადის გადამხდელად ითვლება.


## საერთაშორისო იზოლაცია

2024 წელს შენარჩუნდა ოკუპირებული რეგიონების იზოლაცია. 2022 და 2023 წლებში [ევროკავშირმა](#) და შვეიცარიამ შენგენის ვიზის გაცემა შეზღუდეს საქართველოსა და უკრაინის ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლებზე, რომლებიც შენგენის ზონის საზღვრებს ვერ კვეთენ რუსეთის ხელისუფლების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტებით. გამონაკლისი დაიშვება, მაგ., ჰუმანიტარული შემთხვევებისთვის. ევროპის ქვეყნების ეს გადაწყვეტილება პირდაპირ აისახება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ადამიანებზე, რომლებიც მსოფლიოში, მათ შორის ევროპაში, ძირითადად რუსეთის მიერ გაცემული პასპორტებით გადაადგილდებიან. გადაადგილებაში არსებული შეზღუდვების გამო ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ბოლო რაუნდებზე რუსული მხარე, რომელსაც მხარს სოხუმი და ცხინვალიც უჭერენ, შეხვედრების ადგილის შეცვლასაც კი ითხოვდნენ.



# ოკუპირებული რეგიონების „საგარეო პოლიტიკა“ აქტივობა

ოკუპირებული რეგიონების „საგარეო პოლიტიკა“ რუსეთის პოლიტიკურ, დიპლომატიურ თუ ლოგისტიკურ მხარდაჭერაზე დამოკიდებულია. არსებობს ფორმალური დოკუმენტიც, რომელიც



ინალ არძინბა და სერგეი ლავროვი ხელს აწერენ კონსულტაციების გეგმას

მოსკოვსა და ოკუპირებულ რეგიონებს შორის „საგარეო პოლიტიკაში“ თანამშრომლობის სამართლებრივ ჩარჩოს განსაზღვრავს. 2023 წლის 3 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ინალ არძინბამ „2024-2025 წლებში დიპლომატიურ უწყებებს შორის კონსულტაციების გეგმას“ [მოაწერეს](#) ხელი. მსგავს გეგმას ლავროვმა ხელი [მოაწერა](#) ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ ახსარ ჯიოევთანაც.

## აფხაზეთი

### ბელარუსთან ურთიერთობა

2022 და 2023 წლებში ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს შეხვედრებმა დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბუანიასთან გააჩინა მოლოდინი, რომ ბელარუსი ოკუპირებული აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებდა, თუმცა ამ მხრივ 2024 წელს რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ დიპლომატიური გარღვევა არ მომხდარა და არც მაღალი დონის შეხვედრები გამართულა. როგორც ჩანს, მინსკი ჯერჯერობით ახერხებს მოსკოვის ბენოლას გაუძღლოს და ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებისგან თავს იკავებს.

საინტერესოა, რომ 2024 წლის 13 ოქტომბერს ბელარუსის საგამოძიებო ცენტრმა გამოაქვეყნა გამოძიების [ანგარიში](#), რომლის მიხედვითაც, 2022 წლის 28 სექტემბერს ლუკაშენკოს აფხაზეთში ვიზიტის შემდეგ 20 ჰექტარი მიწა გადაეცა მის მიერ კონტროლირებად კომპანიას („Жемчужина 2010“-ის) „დიდი საინვესტიციო პროექტის განსახორციელებლად“, რაც ითვალისწინებდა სანატორიუმისა და საკურორტო კომპლექსის მშენებლობას ოჩამჩირის რაიონის სოფ. კინდლში, შავი ზღვის სანაპიროზე. არსებული ინფორმაციით, ლუკაშენკოსთვის გადაცემულ ტერიტორიაზე ამ ეტაპისთვის არანაირი მშენებლობა არ დაწყებულა.

### ლათინური და ცენტრალური ამერიკა

აფხაზეთი „დიპლომატია“ ტრადიციულად აქტიურობდა ვენესუელისა და ნიკარაგუის მიმართულებით. ეს ორი ქვეყანა აღიარებს ოკუპირებული აფხაზეთის დამოუკიდებლობას და სოხუმში ცდილობს მათთან კავშირები შეინარჩუნოს, თუმცა ეს კავშირები უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს და ორმხრივი ურთიერთობის განვითარების კუთხით რაიმე წინსვლა არ შეინიშნებოდა. ამის მიზეზია მხარეების შებლუდული რესურსი და გეოგრაფიული სიშორე.

## ახლო აღმოსავლეთი - რა ბედი ელის სირიასთან ურთიერთობებს?

2024 წელს ახლო აღმოსავლეთში აფხაზური „დიპლომატიის“ მთავარი სამიზნე სირია იყო, თუმცა 8 დეკემბერს ბაშარ ალ-ასადის დამხობის შემდეგ გაურკვეველია, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ორმხრივი ურთიერთობები. დიდია ალბათობა, რომ სირიის ახალმა მთავრობამ უკან წაიღოს ოკუპირებული რეგიონების აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ორმხრივი ურთიერთობები უფრო სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა და რეალური შედეგი არ მოჰყოლია, 2024 წელს აფხაზური „დიპლომატია“ სირიაში განსაკუთრებით აქტიურობდა. კერძოდ, სირიაში იანვარში აფხაზეთის „საელჩოში“ საკონსულო განყოფილება [გაიხსნა](#), 1 თებერვალს



მუხამად ალი რნშუნებათა სიგელს გადასცემს სირიის საგარეო საქმეთა მინისტრს

კი სირიაში აფხაზეთის ახალი „ელჩი“ მუხამად ალი [დაინიშნა](#). საინტერესოა, რომ ყოფილი „ელჩი“, ბაგრატ ხუტაბა, დე ფაქტო ხელისუფლებას ღიად აკრიტიკებდა და აცხადებდა, რომ ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით სოხუმის საგარეო აქტივობა შემცირებული იყო.

2024 წელს მცირე აქტივობა შეინიშნებოდა [ეგვიპტისა](#) და არაბთა გაერთიანებული [სამხრეთის](#) მიმართულებით, თუმცა კონკრეტული შედეგის გარეშე. ამ მხრივ ოფიციალურ დონეზე არანაირი შეხვედრა არ გამართულა.

## BRICS - ახალი სამიზნე

2024 წელს ოკუპირებული აფხაზეთის „დიპლომატიის“ განსაკუთრებული სამიზნე იყო [BRICS](#)-ის ჯგუფი, რომლის თავმჯდომარეც 2024 წელს რუსეთი იყო. აფხაზეთი ცდილობდა ეს შესაძლებლობა BRICS-ის წევრ ქვეყნებთან კავშირების დასამყარებლად გამოეყენებინა. ამ მხრივ ყველაზე დიდი მიღწევა იყო რუსეთის ქ. ყაზანში 12-23 ივნისს „BRICS-ის თამაშებში“ მონაწილეობა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ოკუპირებული რეგიონების წარმომადგენლებმა მსგავსი მასშტაბის სპორტულ ღონისძიებაში საკუთარი „დროშით“ მიიღეს მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ სპორტული ღონისძიება არ იყო მასშტაბური და კონკურენტული, მსგავს ღონისძიებებს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი პროპაგანდისტული მიზნებისთვის იყენებენ.



ალექსანდრ ანქვაბის შეხვედრა ჩრდილოეთ კორეის დელეგაციასთან

## ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობა

20 თებერვალს დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი ალექსანდრ ანქვაბი ჩრდილოეთ კორეიდან საერთაშორისო ვაჭრობის კორპორაციის - „მანგენბონ“ გენდირექტორს, იუნ გუკ ნამს, [შეხვდა](#). შეხვედრაზე ორმხრივი თანამშრომლობის გარდა სოხუმსა და ფხენიანში სავაჭრო წარმომადგენლობების გახსნის შესაძლებლობის საკითხი [განიხილეს](#). ჩრდილოეთ კორეის დელეგაციის ვიზი-

ტი საყურადღებოა უკრაინაში მიმდინარე რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე. ჩრდილოეთ კორეა რუსეთს სამხედრო აღჭურვილობით ეხმარება და სოხუმში მსგავსი ვიზიტის ფენიანსა და მოსკოვს შორის დაახლოების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ამ ეტაპისთვის ორმხრივ ურთიერთობაში რაიმე პროგრესის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.



ინალ არძინბას შეხვედრა კე ჭილისთან

## ჩინეთთან ურთიერთობა

2024 წელს აფხაზეთს რამდენჯერმე სტუმრობდა ჩინეთში აფხაზეთის ე.წ. საპატიო კონსული კე ჭილი. 12 მარტს კე ჭილი დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ ინალ არძინბას [შეხვდა](#), 7 ნოემბერს კი - დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ოდისეი [ბიგვაჟას](#). ჭილი პერიოდულად სტუმრობს აფხაზეთს და ჩინეთში აფხაზეთის ინტერესების ლობირებას ცდილობს.

## გერმანია და ვოლფგანგ მაკკე

გერმანიაში ტრადიციულად აქტიურობდა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი [ვოლფგანგ მაკკე](#). 14 ივნისს მან პოტსდამში შეხვედრები [გამართა](#) გერმანიის სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენელ პოლიტიკოსებთან, ჟურნალისტებსა და ბიზნესმენებთან. 29 ოქტომბერს ქ. ჰამბურგში, რუსეთ-გერმანიის სავაჭრო გილდიის სივრცეში, წიგნის - „ევრაზიული კომპლექსი“ პრეზენტაციის ფარგლებში, აფხაზეთის შესახებ ფილმის პრეზენტაცია [გაიმართა](#). ფილმის პრეზენტაციის ინიციატორი იყო ვოლფგანგ მაკკე. მაკკეს სტატუსს გერმანიის მთავრობა არ აღიარებს, შესაბამისად, მისი საქმიანობა შეიძლება შეფასდეს, როგორც კერძო პირის და არა როგორც დიპლომატიის ინიციატივად.



ვოლფგანგ მაკკე პოტსდამში გამართულ ღონისძიებაზე

## ცხინვალის რეგიონი

„საგარეო-პოლიტიკური“ აქტივობის თვალსაზრისით, ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთთან შედარებით, უფრო პასიური იყო. ამისთვის მას შეზღუდული რესურსები და მოკრძალებული „საგარეო-პოლიტიკური“ მიზნები აქვს.

## ბელარუსთან ურთიერთობა

დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ ახსარ ჯიოევს [შეფასებით](#), რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოში განვვირინება არსებულ ვითარებაში რთული პროცესია. ბელარუსთან ურთიერთობის მხრივ ოკუპირებული აფხაზეთის ხელისუფლება უფრო მეტად აქტიურობს.

## ნიკარაგუა და სანდინისტური რევოლუციის 45-ე წლისთავი



ახსარ ჯიოევის შეხვედრა ნიკარაგუის საგარეო საქმეთა მინისტრ დენის მონკადასთან

2024 წლის 19 ივლისს ნიკარაგუაში სანდინისტური რევოლუციის 45-ე წლისთავი აღინიშნეს. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა [მიიღო](#) დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ახსარ ჯიოევმაც. ნიკარაგუა გაეროს წევრი ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელიც ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობას აღიარებს. უნდა აღინიშნოს, რომ, აფხაზეთისგან განსხვავებით, ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლების საგარეო ვიზიტები უფრო იშვიათია.

## ჩინური კომპანია ცხინვალში

16 მაისს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა კონსტანტინ ჯუსოევმა ჩინური კომპანიის „Fujian Tianrun Yongshun Supply Chain“ პრეზიდენტ უ კეგუანს [უმასპინძლა](#). შეხვედრაზე [განიხილეს](#) პერსპექტიული თანამშრომლობის სფეროები ტურიზმსა და სამთო მრეწველობაში, მაგრამ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ცხინვალის რეგიონში ავტომობილების წარმოების შესაძლებლობაზე.




უ კეგუანი ცხინვალში

აპრილში ცხინვალის რეგიონში კიდევ ერთი ჩინური საინვესტიციო კომპანიის – „საბრინა“ წარმომადგენელი ვუ ინგხუეი იმყოფებოდა. ამ ეტაპზე რთულია ვთქვათ, თუ რამდენად რეალურია ჩინური ინვესტიციების განხორციელება ოკუპირებულ რეგიონში. თუმცა, საყურადღებოა, რომ ჩინური კომპანიის წარმომადგენლების ვიზიტები იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობები ვითარდება.

## ირანის ყოფილი ელჩი ცხინვალში

14 მაისს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტმა ალან გაგლოევმა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ირანული საქველმოქმედო ასოციაციის გენერალურ დირექტორს – სეიედ მაჰმუდ რეზა [საჯადის](#) ცხინვალში [უმასპინძლა](#). ირანელი სტუმარი რუსეთში მოღვაწე ოსური წარმოშობის ბიზნესმენ ალბერტ [ჯუსოევთან](#) ერთად ესტუმრა ცხინვალს. ვიზიტის ფარგლებში ირანულ ორგანიზაციასა და დე ფაქტო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის ხელი [მოეწერა](#) თანამშრომლობის მემორანდუმს. საჯადი დე ფაქტო პრემიერ-მინისტრსაც [შეხვდა](#).



სეიედ საჯადი და ალან გაგლოევი

საჯადი 2009-2013 წლებში რუსეთში ირანის ელჩი იყო. ყოფილმა ელჩმა შეხვედრაზე იმედი გამოთქვა, რომ იგი შეძლებს ცხინვალის რეგიონს ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარებაში დაეხმაროს. საჯადის ვიზიტი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ეს არის ოკუპირებულ რეგიონში ასეთი მაღალი დონის ირანელის პირველი ვიზიტი, რაც შეიძლება მიუთითებდეს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების მიმართ თეირანის პოლიტიკაში გარკვეულ ცვლილებებზე.

## I კუთხის „არჩევანი“

2024 წლის 15-17 მარტს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა ოკუპირებულ რეგიონებშიც. წინასაარჩევნო პერიოდში ორივე რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ სხვადასხვა ფორმატში რუსეთის მოქმედ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისადმი ღია მხარდაჭერა დააფიქსირეს. მაგ., ცხინვალში 12 მარტს პუტინის მხარდამჭერი მიტინგი დე ფაქტო პრეზიდენტის, ალან გაგლოვის, პარტია „ნისასის“ ორგანიზებით ჩატარდა. 12 მარტს სოხუმში პუტინის მხარდამჭერი ახალგაზრდობის ფორუმი ჩატარდა, რომელსაც დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ოკუპირებული რეგიონების იმ მაცხოვრებლებმა, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობა აქვთ. აფხაზეთში 30 საარჩევნო უბანი იყო გახსნილი, ცხინვალის რეგიონში – 12.



ვლადიმერ პუტინის მხარდამჭერი მიტინგი ცხინვალში

აფხაზეთში პუტინს მხარი დაუჭირა 39 ათასამდე ადამიანმა, რაც „ამომრჩევლების“ საერთო რაოდენობის 93,96%-ია. ცხინვალის რეგიონში – 16 109 ადამიანმა, რაც „ამომრჩევლების“ საერთო რაოდენობის 95,68%-ია. უცხოეთის უბნებზე ოკუპირებულ რეგიონებზე მაღალი მხარდაჭერა მხოლოდ თურქმენეთში იყო.

ამ საკითხზე დეტალურად იხ.:

არსენ არაქელოვის სტატია [„რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები და საქართველოს ოკუპირებული რეგიონები“](#)



დimitრი კობაკია

2024 წელს რუსეთის ხელისუფლებაში ოკუპირებული რეგიონების კურატორების უმრავლესობამ შეინარჩუნა თანამდებობა. 2020 წლიდან ოკუპირებული რეგიონების კურატორი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე **დimitრი კობაკია**, რომელიც ამ ეტაპზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საჯარო მოხელეა. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ლიდერებს მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება სწორედ კობაკთან უწევთ.



ალექსანდრ ნოვაკი

2022 წლის 1 ნოემბრიდან რუსეთის მთავრობაში ოკუპირებული რეგიონების მთავარი კურატორი რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი **ალექსანდრ ნოვაკი**. იგი „რუსეთისა და აფხაზეთის და რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის“ თანათავმჯდომარეა. ნოვაკი ოკუპირებულ რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტების განხორციელებასა და რუსეთის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსების ხარჯვის კონტროლზეა პასუხისმგებელი.



დimitრი ვოლჟანი

რუსეთის მთავრობის მაღალჩინოსნებიდან ოკუპირებული რეგიონების ყველაზე ხშირი სტუმარი რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე **დimitრი ვოლჟანი**. ვოლჟანი ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის დაფინანსებით მიმდინარე პროექტების განხორციელებას კურირებს და მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის მიზნით პერიოდულად სტუმრობს ოკუპირებულ რეგიონებს.



ანტონ მელნიკი

**ანტონ მელნიკი** 2024 წლის 24 იანვრიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სპეციალური პროგრამებისა და პროექტების სამმართველოს უფროსია. მელნიკი ერთ-ერთი ის საჯარო მოხელეა, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან ურთიერთობებზე და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელებაზე. იგი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს რუსეთის სამთავრობო დელეგაციების წევრის რანგში ხშირად სტუმრობს. 2015-2019 წლებში იგი ჩრდილოეთ კავკასიის საქმეთა სამინისტროში საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი იყო. 2020 წლის იანვარში ჩრდილოეთ კავკასიის საქმეთა სამინისტროს გაუქმების შემდეგ მელნიკი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადავიდა.



სერგეი შჩედრინი

2024 წლის 20 აგვისტოდან რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს ახალი ხელმძღვანელია გენერალ-მაიორი **სერგეი შჩედრინი**. შჩედრინმა შეცვალა ანდრეი კუდიმოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე 2021 წელს დაინიშნა. რუსეთის სასაზღვრო სამსახური საოკუპაციო ხაზზე ოკუპირებული რეგიონის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს და პასუხისმგებელია „ბორდერიზაციის“ პროცესზეც.



ვლადისლავ კულიკოვი

დსთ-ის ქვეყნების, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული საქმეების ფედერალური სააგენტოს („რუსული სახლი“) წარმომადგენელი სოხუმში 2024 წლის სექტემბრიდან **ვლადისლავ კულიკოვია**, რომელიც ადრე სლოვაკეთში რუსეთის საელჩოში პირველი მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა. მან ამ თანამდებობაზე დმიტრი ფედოტოვი შეცვალა.

ამ საკითხზე დეტალურად იხ.:

- რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონების კურატორების შესახებ დეტალურად იხ. რონდელის ფონდის კრემლის პოლიტიკის გზამკვლევი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.



# გნიუვნალოვანი საკადრო ცვლილებები ოკუპირებულ ჩაბორონაში

2024 წელს ოკუპირებულ რეგიონებში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოხდა. აფხაზეთში დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიას გადადგომის შემდეგ მოქმედი „მთავრობა“ ახალი „პრეზიდენტის“ არჩევამდე აგრძელებს მოვალეობის შესრულებას. ამ მხრივ შეიცვალა მხოლოდ „პრემიერ-მინისტრი“, რომლის მოვალეობასაც ახალ „არჩევნებამდე“ ვალერი ბგანბა შეასრულებს.

## აფხაზეთი

### არძინბას დათხოვნა და ახალი „ძველი“ მინისტრი



ინალ არძინბა

2024 წლის ყველაზე ხმაურიანი საკადრო ცვლილება დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის ცვლილება იყო. 7 მაისს დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ არძინბა თანამდებობიდან [გათავისუფლა](#), „მინისტრის“ მოვალეობის შემსრულებლად კი არძინბას მოადგილე ირაკლი ტუჟბა დანიშნა. არძინბა „მინისტრად“ 2021 წლის 17 ნოემბერს დაინიშნა. იგი ხშირად აკეთებდა მწვავე განცხადებებს, განსაკუთრებით, ოკუპირებულ აფხაზეთში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. არძინბა ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ კანონის მიღების მთავარი ლობისტი იყო, თუმცა კანონი ამ დრომდე არ არის მიღებული. არძინბას დათხოვნის შესახებ ადრეც არაერთხელ გავრცელებულა ინფორმაცია.

არძინბას გათავისუფლებას „სამინისტროში“ კიდევ ერთი ხმაურიანი გადაწყვეტილება მოჰყვა. 28 მაისს ტუჟბა გაათავისუფლეს „მინისტრის“ მოვალეობის შემსრულებლის მოვალეობიდან და მოვალეობის შესრულება „მინისტრის“ მეორე მოადგილეს – ოდისეი ბიგვაკას [დააკისრეს](#). ასეთი გადაწყვეტილების მიზეზად ტუჟბას ამერიკულ ვოიაჟს [ასახელებენ](#). 7 მაისს, როდესაც ტუჟბა მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს, იგი დაგეგმილი შვებულებით აშშ-ში იმყოფებოდა. გავრცელებული ინფორმაციით ტუჟბას მეუღლე ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობს. როგორც ჩანს, რუსეთის დასავლეთთან დაპირისპირების ფონზე, აშშ-ში ვიზიტი ტუჟბას კარიერული წინსვლისთვის „კომპრომატი“ აღმოჩნდა. ტუჟბა აღარ მონაწილეობს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებშიც. იგი ბიგვაკამ ჩაანაცვლა.



სერგეი შამბა

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ბჟანიამ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრად 6 აგვისტოს აფხაზეთი პოლიტიკის ვეტერანი, დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი სერგეი შამბა [დანიშნა](#). აფხაზეთში გავრცელებული მოსაზრებით, ამ ხნის განმავლობაში ბჟანია შამბას არწმუნებდა, რომ კვლავ დაეკავებინა „მინისტრის“ პოსტი, რომელსაც იგი წარსულში ორჯერ უკვე იკავებდა, ჯამში, სულ, 13 წლის განმავლობაში. შამბა „მინისტრი“ იყო 1997 წლის მაისი-2004 წლის ივლისისა და 2004 წლის დეკემბერი-2010 წლის თებერვლის პერიოდში. 2020 წლიდან იგი დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი იყო.

## ახალი ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე



დმიტრი ქუჩუბერია

26 ივლისს ბჟანიამ ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე თემურ ახიბა „სხვა სამსახურში გადაყვანასთან დაკავშირებით“ [გაათავისუფლა](#). ახიბა უშიშროების სამსახურს 2023 წლის ივნისიდან [ხელმძღვანელობდა](#). იგი იმავე დღეს [დანიშნა](#) ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივნის (სერგეი შამბას) მოადგილედ.

7 აგვისტოს ბჟანიამ ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსად ვიცე-პოლკოვნიკი დმიტრი ქუჩუბერია [დანიშნა](#). მანამდე იგი სამსახურის უფროსის მოადგილე იყო. ქუჩუბერია ცნობილია იმით, რომ ძელზე ცალი ხელით 32-ჯერ აიწია და ამით გინესის რეკორდების წიგნშიც [მოხვდა](#).



რაულ ლოლუა

## ახალი „უშიშროების საბჭოს მდივანი“

შამბას დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ, 6 აგვისტოს, დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანად ბჟანიამ თავისი თანამებრძოლი რაულ ლოლუა [დანიშნა](#). ლოლუა 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის [მონაწილეა](#), 1998 წლის მაისში კი გალის მოვლენებში მონაწილეობდა. 2008 წელს იგი ანტიტერორისტულ ცენტრს ხელმძღვანელობდა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად კოდორის ხეობაში სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობდა. საინტერესოა, რომ რამდენიმე თვით ადრე მის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირეს გუდაუთის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოზიციაზე.

# ՄԻՆԻՍՏՐԱԿԱՆ ԴԵՊԱՐՏԱՄԵՆՏ

## ՏԱԿԱԴՐՈ ՄՎԵԼԻԼԵԲԵԹԻ „ԴԱԶՅԵՐՎԱՄԻ“



Ալեքսեյ Վարձիլյան

2024 թվականի 1 մարտի և ֆաქտո թրեբիդենտի առանց ԳԱԳԼՈՎԵՄԻ տանամեծությունից [ԳԱՏԱՎՈՒՄՍՄԵԼԱ](#) Ե.Ն. ՏԱԳԱՐԵՍ ԴԱԶՅԵՐՎՈՒՄ ՏԱՄՏԱՒՄՆՈՒՄՍ ԴԵՐՈՍԻ [ԱԼԵՔՍԵՅ ՎԱՐԶԻԼՅԱՆ](#)։ ՎԱՐԶԻԼՅԱՆ ԱՄ ԿԱՆԱՄԵԾՈՒԹՅԱՆ ԿՐԻՏ ԳԱԳԼՈՎԵՄԻ ՆԻՆԱՄՈՐԹԵԴՄԱ 2017 թվականի ԴԱՆԻՄՆԱ։

### ԴԵ ԲԱԿՏՐՈՒ ՄԱՎԴԱՄՎՈՒՄԻ ՄԻՆԻՍՏՐԻ ՎԱՏԱՎՈՒՄՍՄԵԼԱ

17 ապրիլի ԳԱԳԼՈՎԵՄԻ տանամեծությունից ԳԱՏԱՎՈՒՄՍՄԵԼԱ ԴԵ ԲԱԿՏՐՈՒ ՄԱՎԴԱՄՎՈՒՄԻ ՄԻՆԻՍՏՐԻ ՄԱՐԱՏ ՔԱՎԼՈՎԻ։ ՄԻՍԻ ՄՈՎԱԼԵՒՈՒԹՅԱՆ ՄԵՏՐՈՒԹՅԱՆ ԴՐՈՒԹՅԱՆ ԴԱԵԿԻՏՐԱ ՄԻՍ ՄՈՒԴԳԻԼԵՍ – ԻՆԱԼ ՏԱԲԱՆՈՎՍ։ ԱԴԳԻԼՈՒԹՅԱՆ ՄԵԲԱՍԵԹԻՄ, 2022 թվականի ԻԳԻ ՄՈՍԿՈՎԱՄ ՄՈՒՎԼԻՆԱ

ԵՎ 2008 թվականի ՄԵՄԴԵԳ ԿՎԵԼԱԶԵ ՄԵԴԻՏԻ „ՄԻՆԻՍՏՐԻ“ ԱԼՄՈՒՆԴԱ, ՐԱՑ, ՐՈԳՈՐԿ ԻԱՆՍ, ԳԱԳԼՈՎԵՄԻ ԳԱԼԻԽԻԱՆԵԹԻՍ ԲԱԿՏՐՈՒ ԳԱԽԴԱ։ ԳԱԳԼՈՎԵՄԻ ՄԿՄԱԿՈՒԹՅԱՆ, ՏԱՎԱՐԱՍԴՈՒԹՅԱՆ ԴԵ ԲԱԿՏՐՈՒ ՄԱՎԴԱՄՎՈՒՄԻ ՄԱՎԼՈՎԻ ՄԻԵՐ ՆԻՆԱ ՄԼԵԹՅԱՆ ԻԱԴԵՆԻԼԻ ԴԱՐԼՅԵՎԵԹԻՍ ՄԵՏՆԱՎԼԱՍ ՄՈՔԿՅԱ, ՐԱՑ ԳԱԳԼՈՎԵՄԻ ՔՈԼԻՏԻԿՍԻ ՄՈԿԱՎՄԻՐԵԹԻՍ ՏԱԿՄԻԱՆՈՒԹՅԱՆ ՄԱՎԿՄԻՐԵԹՈՒԹՅԱՆ։

### „ՔԱՐԼԱՄԵՆՏԻԴԱՆ“ „ՔՐԵԹԻԴԵՆՏԻՍ“ ԱԴՄԻՆԻՍՏՐԱԿԻԱՄԻ

22 ԻՎԼԻՍ ԳԱԳԼՈՎԵՄԻ „ՔՐԵԹԻԴԵՆՏԻՍ“ ԱԴՄԻՆԻՍՏՐԱԿԻԱՆ ԴԵՐՈՍԱԴ ԱԼԱՆ ԱԼԲՈՐՈՎԻ [ԴԱՆԻՄՆԱ](#)։ ԱԼԲՈՐՈՎԻ ՆԻՆԱ ՄՈՒՆՎԵՅԻՍ „ՔԱՐԼԱՄԵՆՏԻՍ“ ՏՔԻԿԵՐԻ ԻԿՈ։ ՏԱԻՆՏԵՐԵՍՈՒ, ՐՈՄ „ՔԱՐԼԱՄԵՆՏԻՍ“ ԱՄԿԱՄԻՆԴԵԼԻ ՏՔԻԿԵՐԻ, ԱԼԱՆ ՄԱՐԳԻԵՎԻ ՄԱՆԱՄԴԵ „ՔՐԵԹԻԴԵՆՏԻՍ“ ԱԴՄԻՆԻՍՏՐԱԿԻԱՆ ԴԵՐՈՍԻՍ ՔՈՍՏՍ ԻԿԱՎԵԹԱ։ ԱՄ ԴԱՆԻՄՆԻՄ ՄԱՐԳԻԵՎԻ ԵՎ ԱԼԲՈՐՈՎԻ տանամեծությունից ԳԱՑՎԱԼԵՍ։

# I „ჯაშუზური ოჯახი“

ქართულ სპეცსამსახურებზე მომუშავე „ჯაშუზების“ თემა ოკუპირებულ აფხაზეთში ბოლო წლებში აქტუალური საკითხი გახდა. უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის ფონზე აფხაზეთში შიშობენ, რომ ქართული სპეცსამსახურები ისარგებლებენ შექმნილი ვითარებით და მათ ტერიტორიაზე საქმიანობას გაააქტიურებენ.

## კახა მურადოვის საქმე

ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, 2024 წლის 24 აპრილს გაგრამში დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამავე დროს არის აფხაზეთის „მოქალაქეც“ – კახა მურადოვი. იგი ეჭვმიტანილია „საქართველოს სასარგებლოდ სახელმწიფო ღალატში“. „სამსახურის“ ინფორმაციით, „მურადოვი ცდილობდა აფხაზეთის მაცხოვრებლების ისეთ საქმიანობაში ჩართვას, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ინტერესს მოემსახურებოდა. მურადოვი აგროვებდა და გადასცემდა ინფორმაციას მტრული ქვეყნის სპეცსამსახურებს აფხაზეთის რესპუბლიკის ინტერესების საზიანოდ“.



კახა მურადოვის დაკითხვა

სამსახურის ცნობით, „მურადოვი 1977 წელს დაიბადა აფხაზეთში. 1994-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს შსს-ში, 1999 წელს კი აფხაზეთში ჩავიდა. მისი ერთ-ერთი დავალება იყო თვალის ედევნებინა მატარებლებისთვის, რომლებიც აფხაზეთში რუსეთიდან შემოდის და უნდა გაერკვია, იყო თუ არა მატარებელი დატვირთული ჯავშანტექნიკით ან სხვა სამხედრო ტექნიკით“. მურადოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 2024 წლის 9 მაისს აღიძრა.

## 2023 წლის საქმეები

2023 წლის 12 აპრილს ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა **ვიდეორგოლი** გამოაქვეყნა, რომელიც, სამსახურის შეფასებით, ადასტურებს, რომ „ქართული სპეცსამსახურები რესპუბლიკის ტერიტორიაზე სადაზვერვო ღონისძიებების ჩატარებას აგრძელებენ“. სამსახურის ცნობით, ქართული სპეცსამსახურების თანამშრომელი დე ფაქტო რესპუბლიკის მაცხოვრებლების სადაზვერვო საქმიანობაში ჩართვას ცდილობდა. ერთ-ერთი მათგანი აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ჯესიკა შენგელია იყო, მეორე კი – სოხუმის მაცხოვრებელი ირმა ხუხუა.

2023 წლის 5 მაისს საქართველოს მოქალაქე ქრისტინე თაკალანძე ჯაშუზობის ბრალდებით გაასამართლეს და 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თაკალანძე 2022 წლის 20 ივლისს დააკავეს. აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ცნობით, „თაკალანძე საქართველოს სპეცსამსახურების დავალებით იღებდა, აგროვებდა და გადასცემდა ქართულ სპეცსამსახურებს ინფორმაციას, რომელიც შეიცავდა კანონით დაცულ სახელმწიფო, სამხედრო და სხვა საიდუმლოს“.

ქართულ სპეცსამსახურებთან ბრძოლის „კულმინაცია“ იყო 2023 წლის 8 ნოემბერს გავრცელებული **ინფორმაცია** აფხაზეთის ტერიტორიაზე „ქართველი დივერსანტების“ შეჭრის შესახებ. ინფორმაცია პირველად რუსმა პროპაგანდისტმა ვლადიმერ სოლოვიოვმა გაავრცელა. „დივერსანტების“ ძიებიდან მალევე განაცხადეს, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ დადასტურდა. არაერთი კონსპირაციული თეორიის გავრცელების მიუხედავად, „დივერსანტების“ თემამ უფრო კომიკური სახე მიიღო და ადგილობრივ საზოგადოებაში ნაკლებად დაიჭრეს.

# საერთაშორისო ორგანიზაციების ჩაზოღუჭიბი და გაღაწყვიჭიღაბი

## გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია

2024 წლის 4 ივნისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 78-ე სესიის ფარგლებში, მიიღო [რეზოლუცია](#) „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთი ოსეთი, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“, რომელიც აღიარებს საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა დაბრუნების უფლებას თავიანთ სახლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რეზოლუციას მხარი 103 ქვეყანამ დაუჭირა, 9 წინააღმდეგი იყო, 52-მა კი – თავი შეიკავა. რუსეთთან ერთად რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს: ბელარუსმა, ბურუნდომ, კუბამ, მალიმ, ჩრდილოეთ კორეამ, ნიკარაგუამ, სირიამ და ზიმბაბვემ.

გასულ წელთან შედარებით, რეზოლუციას 100-ის ნაცვლად 103-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი, რაც 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. წელს პირველად რეზოლუციას მხარი დაუჭირა სომხეთმა, რომელიც მანამდე თავს იკავებდა ან ხმას წინააღმდეგ აძლევდა. ერევნის პოზიციის ცვლილება განპირობებულია რუსეთთან სომხეთის ურთიერთობის გაუარესებით და საგარეო-პოლიტიკური ვექტორის შეცვლის მცდელობით. რეზოლუციას წელს პირველად შეუერთდნენ სამხრეთი აფრიკა და არგენტინაც. აღსანიშნავია, რომ ჩინეთმა, რომელთანაც საქართველომ 2023 წელს სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ ერთობლივ განცხადებას მოაწერა ხელი, რეზოლუციის მხარდაჭერისგან თავი შეიკავა.

საქართველო აღნიშნულ რეზოლუციას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე 2008 წლიდან წარადგენს. რეზოლუცია გმობს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს, ადასტურებს დევნილთა უფლებას, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში ღირსეულად და უსაფრთხოდ და ხაზს უსვამს მათი საკუთრების უფლების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობას. ჰუმანიტარული კონტექსტის გარდა, რეზოლუციას აქვს პრაქტიკული დატვირთვაც, ვინაიდან ის გაეროს გენერალურ მდივანს საქართველოში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის მდგომარეობისა და რეზოლუციის შესრულების თაობაზე ყოველწლიური ანგარიშის მომზადებას ავალდებს.

რეზოლუციასთან დაკავშირებით 5 ივნისს განცხადება [გაავრცელა](#) აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ. მათი შეფასებით, „სერიოზულ იმედგაცრუებას იწვევს ის ფაქტი, რომ აღნიშნული რეზოლუცია ყოველწლიურად მიიღება აფხაზური მხარის ამრისა და პოზიციის გათვალისწინების გარეშე. რეზოლუციას ამკარად მიკერძოებული ხასიათი აქვს და არ ასახავს რეგიონში არსებულ რეალურ ვითარებას“.

რეზოლუციასთან დაკავშირებით 7 ივნისს [განცხადება](#) გააკეთა ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. „ნათელია, რომ ლტოლვილთა პრობლემების გადაწყვეტის რეალური ძალისხმევის მაგივრად, გრძელდება საკითხის პოლიტიკების კონტრპროდუქტიული პრაქტიკა, რომლის განხილვის დროსაც გაეროში სამხრეთ ოსეთი მოკლებულია შესაძლებლობას წარადგინოს თავისი დასაბუთებული მოსაზრება“, – წერია განცხადებაში.

## გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია

2024 წლის 11 ოქტომბერს ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეზოლუცია – „თანამშრომლობა საქართველოსთან“ [მიიღო](#). დოკუმენტს მხარი საბჭოს 24 წევრმა დაუჭირა. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, რეზოლუციის მხარდამჭერთა რაოდენობა გაზრდილია. რეზოლუციაში პირველად აისახა ჩანაწერი რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციის თაობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021-2024 წლების გადაწყვეტილებების შესაბამისად, რეზოლუციაში საუბარია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციასა და ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე რუსეთის, როგორც ეფექტური კონტროლის განმარტებული ძალის, პასუხისმგებლობის შესახებ. ადამიანის უფლებათა საბჭო სერიოზულ შემფოთებას გამოთქვამს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული სხვადასხვა სახის დისკრიმინაციისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტებზე.

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, გაეროს რეზოლუციაში კვლავ გამოყენებულია შაბლონური, განმეორებადი ტერმინები, რომლებიც ადგილზე არსებულ რეალურ სურათს მნიშვნელოვნად ამახინჯებს და ატარებს პოლიტიზებულ და ტენდენციურ ხასიათს.

ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს [შეფასებით](#), რეზოლუცია შეიცავს ტენდენციურ შეფასებებს, რომელიც არ ასახავს რეალობას ე.წ. ქართული ტერიტორიების ოკუპაციისა და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანების უფლებების დარღვევების შესახებ.

## ევროპული სასამართლოს განაჩენი „ბორდერიზაციის“ წინააღმდეგ

2024 წლის 9 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მხრიდან „ბორდერიზაციის“ წინააღმდეგ 2018 წლის სარჩელზე ადამიანის უფლებათა დარღვევები [დაადგინა](#). სასამართლომ საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ ერთხმად [დაადგინა](#), რომ 2009 წლიდან მიმდინარე „ბორდერიზაციის“ პროცესის დროს ხდებოდა სიცოცხლის უფლების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის უფლების, თავისუფლების უფლების, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების, საკუთრების დაცვის უფლების, განათლებისა და თავისუფალი გადაადგილების უფლებების დარღვევა. ამ საკითხზე განცხადება [გაავრცელა](#) ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომაც, რომელმაც სასამართლოს ორმაგ სტანდარტებში დასდო ბრალი. დე ფაქტო სამინისტროს შეფასებით, „საერთაშორისო სამართალი პოლიტიკური მანიპულაციის ობიექტი გახდა და ეს უკვე ღიად კეთდება. მოვლენების ისეთი ინტერპრეტაცია, რომელიც რეალობას არ შეესაბამება, ვერ შეუწყობს ხელს რეგიონში მდგრადი მშვიდობის მიღწევისთვის გადადგმულ ძალისხმევას და საერთაშორისო სასამართლოების მიმართ ნდობას“. საქართველოს ხელისუფლებამ ევროპულ სასამართლოს სარჩელით 2018 წლის 22 აგვისტოს მიმართა.

## სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება

2024 წლის 17 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება [გამოაქვეყნა](#) საქმეზე „ტაგანოვა და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ“, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში საკუთრების უფლებების დარღვევაზე სრულ პასუხისმგებლობას რუსეთს აკისრებს. საქმე ეხებოდა ექვსი მომჩივნის – ოთხი ქართველის და ორი რუსის საჩივრებს, რომელთაც უარი ეთქვათ აფხაზეთში საომარი მოქმედებების შემდეგ თავიანთ სახლებსა და საკუთრებაში შესვლაზე. სასამართლომ დაადგინა [ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის](#) N1 ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) და მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევები.

სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ რუსეთი ეფექტურ კონტროლს ახორციელებს აფხაზეთზე და ვერ უზრუნველყო ინდივიდუალური პირების, განსაკუთრებით, საქართველოს მოქალაქეების საკუთრების უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე. „მათ უნდა მიეღოთ ზომები ამ უფლებების დასაცავად, მათ შორის, ადვილად ხელმისაწვდომი და მოქნილი სამართლებრივი მექანიზმის უზრუნველყოფის გზით. მათ ეს ვერ მოახერხეს. შესაბამისად, ამ განმცხადებლების უფლებების დარღვევა რუსეთის ფედერაციის გამო მოხდა“, – ნათქვამია სასამართლოს პრესრელიზში.

*ამ საკითხზე დეტალურად იხ.:*

- ნინო მაჭარაშვილის სტატია: [საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შესახებ გაეროს რეზოლუცია: რა შეიცვალა წინა წლებთან შედარებით?](#)*

# შეხვედრები

2024 წელს სოხუმთან და ცხინვალთან მოლაპარაკებების ფორმატი უცვლელი იყო. შეხვედრები კვლავ იმართებოდა ჟენევაში, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, და ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში. გალში აფხაზურ მხარესთან შეხვედრები 2018 წლიდან, გიგა ოთხოზორიას მკვლელობის შემდეგ, არ ტარდება. საყურადღებოა, რომ ჟენევაში მოლაპარაკებების დროს მოსკოვი და სოხუმი ითხოვდნენ ქ. გალში შეხვედრების აღდგენას, მაგრამ ამ საკითხზე ქართული მხარის პოზიციის გამო შეხვედრების განახლება ვერ ხერხდება.

## ჟენევის შეხვედრები

2022 წლის თებერვალში უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ ჟენევის ფორმატში შეხვედრების ადგილის მიმართ სულ უფრო გახშირდა მოსკოვის პრეტენზიები, რასაც სოხუმსა და ცხინვალშიც იზიარებენ. რუსეთის შეფასებით, შვეიცარია დაკარგა ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი, რადგან შვეიცარია შეუერთდა ევროკავშირის ანტირუსულ აქციებს და „სრულ სოლიდარობას უცხადებს კიევის რეჟიმს“. მოსკოვი ცდილობს ჟენევიდან მოლაპარაკებების რაუნდების გადატანაზე კონსენსუსს მიაღწიოს აფხაზი და ოსი მოკავშირეების მხარდაჭერით. სოხუმი და ცხინვალის მხარს უჭერენ მოსკოვს და ერთ-ერთ მიზეზად სავიზო პოლიტიკის გამკაცრებასაც ასახელებენ, რაც მათ ხელს უშლის შენგენის ქვეყნებში/შვეიცარიაში თავისუფლად გადაადგილებაში. ალტერნატიულ ადგილებად სახელდება ბელარუსი და სერბეთი, თუმცა ადგილის შეცვლისთვის საჭიროა თბილისის თანხმობაც.



აფხაზური დელეგაცია ჟენევაში, მე-60 რაუნდი

2022 წელს ჟენევის ფორმატში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩატარდა, 2023 და 2024 წლებში – სამ-სამი. 2022 წლამდე, როგორც წესი, წლის განმავლობაში ოთხი შეხვედრა ტარდებოდა.

2024 წელს ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების სამი რაუნდი:

- მე-60 რაუნდი – 4-5 აპრილი
- 61-ე რაუნდი – 25-26 ივნისი
- 62-ე რაუნდი – 5-6 ნოემბერი

ჟენევაში სოხუმისა და ცხინვალის მხრიდან, როგორც წესი, შემდეგნაირი შინაარსის მოთხოვნები ისმის:

- ძალის გამოუყენებლობის შესახებ იურიდიულად სავალდებულო შეთანხმების ხელმოწერა.
- ე.წ. საზღვრის დელიმიტაცია/დემარკაცია.
- ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გალში შეხვედრების აღდგენა.
- ოსური მხარე პერიოდულად ლაპარაკობს „საქართველოს მიერ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, თრუსოს ხეობაში, დაბადებული ოსების უფლებების უხეშ დარღვევებზე“. ცხინვალის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება რამდენიმე წელია უარს ეუბნება მათ მშობლიურ სოფლებში ჩასვლაზე.



## ერგნეთის შეხვედრები

ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში, 2024 წელს ექვსი შეხვედრა გაიმართა. შვიდი შეხვედრა ჩატარდა 2023 წელს. ერგნეთში პირველი შეხვედრა 2009 წლის 23 აპრილს გაიმართა. ამ ფორმატში შეხვედრების ჩატარების გადანყვეტილება 2009 წლის 18-19 თებერვალს ჟენევის მოლაპარაკებების მე-6 რაუნდზე მიიღეს.



120-ე შეხვედრა ერგნეთში

2024 წელს ერგნეთში გაიმართა ექვსი შეხვედრა:

- 117-ე [შეხვედრა](#) – 13 თებერვალი
- 118-ე [შეხვედრა](#) – 20 მარტი
- 119-ე [შეხვედრა](#) – 16 მაისი
- 120-ე [შეხვედრა](#) – 23 ივლისი
- 121-ე [შეხვედრა](#) – 12 სექტემბერი
- 122-ე [შეხვედრა](#) – 19 ნოემბერი

ერგნეთის შეხვედრებზე განიხილება სხვადასხვა საკითხი, რომლებსაც ქართული და ოსური მხარე მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

ქართული მხარის მიერ დასმული საკითხები:

- საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებების შეწყვეტა და ყველა უკანონოდ დაკავებულის განთავისუფლება.
- „ბორდერიზაციის“ უკანონო პროცესის შეჩერება.
- თამბ გინტურის მკვლელების (რუსეთის საოკუპაციო ძალებმა გინტური 2023 წლის 6 ნოემბერს მოკლეს) დასჯა.

ოსური მხარის მიერ დასმული საკითხები:

- „სახელმწიფო საზღვრის“ დელიმიტაცია და დემარკაცია.
- „საზღვრის დარღვევის“ შემთხვევების აღკვეთა.
- საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ უპილოტო საფრენ აპარატებთან დაკავშირებული ინციდენტები.
- სოფ. ჩორჩანაში ქართული საპოლიციო საგუშაგოს გაუქმება.
- სიგარეტის კონტრაბანდის აღკვეთა.
- საოკუპაციო ხაზზე ვანდალიზმის (მათ შორის იგულისხმება ე.წ. სასაზღვრო ინფრასტრუქტურის დაზიანება) ფაქტების აღკვეთა.

ერგნეთის შეხვედრების ყველაზე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს შეთანხმება ტერიტორიის არხის ამოქმედებაზე, რაც მნიშვნელოვანია როგორც ოკუპირებული, ასევე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის. [ტერიტორიის არხი](#) სარწყავი სისტემაა, რომელიც საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე ქართულ და ოსურ სოფლებს ამარაგებს სარწყავი წყლით. არხმა 2008 წლის შემდეგ შეწყვიტა ფუნქციონირება. ამ საკითხზე მხარეებს შორის მუდმივად მიმდინარეობს თანამშრომლობა.

# ოკუპირებული აფხაზეთი: რუსეთთან ურთიერთობების გაუარესება და სანქციები

2024 წელი ოკუპირებული აფხაზეთისა და რუსეთის ურთიერთობებში განსაკუთრებით მძიმე იყო. სხვადასხვა საკითხზე დაწყებული უთანხმოება წლის ბოლოსთვის მოსკოვის მხრიდან ოკუპირებულ აფხაზეთისთვის პრაქტიკულად სანქციების დაწესებით დასრულდა, რასაც მწვავე ენერგოკრიზისი და დაფინანსების შეწყვეტა მოჰყვა, რამაც ხელფასის გარეშე დატოვა „საბიუჯეტო“ ორგანიზაციებში დასაქმებულები.

## კრიმინალის განთავისუფლება და მოსკოვის პროტესტი

2024 წლის 16 თებერვალს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკუთარ ტელეგრამ-არხზე უკმაყოფილება გამოხატა ედგარ აბუხბას საპატიმროდან განთავისუფლების გამო. აბუხბამ 2019 წელს მძიმე დანაშაული ჩაიდინა რუსი ტურისტის წინააღმდეგ. 2021 წელს იგი გაასამართლეს რუსეთის მოქალაქის გაუპატიურების, ძარცვისა და ჯანმრთელობისთვის მძიმე ზიანის მიყენების ბრალდებით და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი აფხაზეთის ე.წ. უზენაესი სასამართლოს მიერ სასჯელის შემსუბუქების შემდეგ [გაათავისუფლეს](#). რუსეთის საგარეო უწყებამ ეს შემთხვევა შეაფასა, როგორც „აფხაზური მართლმსაჯულების მხრიდან შემწყნარებლობის გამოვლინება იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც უსაფრთხოების რისკებს უქმნის უცხოელი სტუმრების დიდ რაოდენობას, რომლებიც ყოველწლიურად ისვენებენ აფხაზურ კურორტებზე“.

## რატომ არ მოაწერეს ხელი „როსგვარდიასთან“ შეთანხმებას?

2024 წლის თებერვალში დე ფაქტო შს სამინისტრომ გაავრცელა [ინფორმაცია](#) რუსეთის „როსგვარდიასთან“ (რუსეთის შინაგანი ჯარი, რომელიც დამოუკიდებელი უწყებაა და განცალკევებულია რუსეთის შეიარაღებული ძალებისგან, ემორჩილება რუსეთის პრეზიდენტს.) უწყებათაშორის თანამშრომლობის შეთანხმების პროექტის მომზადების შესახებ. ამ ინფორმაციის გავრცელებას დიდი ხმაური მოჰყვა. გაისმა ბრალდებები, რომ დე ფაქტო მთავრობა „როსგვარდიის“ შიდა აფხაზური პრობლემების მოგვარებისთვის გამოყენებას აპირებდა. დე ფაქტო შს მინისტრმა რობერტ კიუტმა ამ საკითხზე [განაცხადა](#): „არავინ აპირებს ჩვენი სუვერენიტეტის ჩაბარებას და ჩვენი ინტერესების შელახვას“. 11 თებერვალს კიუტმა [თქვა](#), რომ ხელს აღარ მოაწერენ შეთანხმებას.

## ნოტა მოსკოვიდან

2024 წლის 13 მარტს აფხაზურმა ტელეგრამ-არხმა ([Абхазский портал](#)) და იუთუბ-არხმა ([Апсны Хабар](#)) [გამოაქვეყნეს](#) რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 8 თებერვალს გამოგზავნილი ნოტა, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ „ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის“ რუსეთისთვის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით მიიღო. ნოტაში გამოთქმულია უკმაყოფილება დე ფაქტო პარლამენტის მიერ მიღებულ „საკონსტიტუციო კანონთან“ დაკავშირებით, რომლის თანახმადაც რუსეთს არ აქვს უფლება „ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკი“ და მასთან დაკავშირებული ობიექტები, მიწის ნაკვეთი და საზღვაო აკვატორიის ნაწილი მესამე პირს გადასცეს. მოსკოვი ასევე უკმაყოფილოა, რომ სოხუმს შეთანხმების დენონსაცია შეუძლია.

დე ფაქტო პარლამენტმა „ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის“ რუსეთისთვის გადაცემის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია 2023 წლის 27 დეკემბერს მოახდინა. თუმცა, ასევე მიიღო „კანონი“,

Министерство Иностранных Дел Российской Федерации свидетельствует свое уважение Министерству Иностранных Дел Республики Абхазия и, ссылаясь на ноту Посольства Республики Абхазия в Российской Федерации от 27 декабря 2023 года № 503, которой Абхазская Сторона уведомила относительно принятия 27 декабря 2023 года Конституционного закона Республики Абхазия № 5805-с-VII о мерах по реализации Соглашения между Правительством Российской Федерации и Правительством Республики Абхазия о передаче в собственность Российской Федерации объекта на территории Республики Абхазия и порядке его использования от 19 января 2022 года (далее – Конституционный закон, Соглашение), имеет честь сообщить следующее.

Российская Сторона ознакомилась с содержанием Конституционного закона и считает, что отдельные его положения идут вразрез с предусмотренными Соглашением и согласованными между Сторонами нормами, принятие которых составляло существенное основание для выражения Российской Федерацией МИНИСТЕРСТВУ ИНОСТРАННЫХ ДЕЛ РЕСПУБЛИКИ АБХАЗИЯ г. Сухум

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

ლოა „საკონსტიტუციო კანონი“ [შეეცვალათ](#). თუმცა, 14 მარტს დე ფაქტო პარლამენტის სპიკერმა ლაშა აშუბამ ამ ინფორმაციას დებინფორმაცია უწოდა.

## სკანდალური პროტოკოლი და დაფინანსების შეწყვეტა

2024 წლის 29 აგვისტოს აფხაზურ ტელეგრამ-არხებზე სკანდალური შეხვედრის პროტოკოლი [გავრცელდა](#). შეხვედრა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიასა და რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს, ოკუპირებული რეგიონების კურატორ დიმიტრი კობაკს შორის 19 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა. პროტოკოლი 28 აგვისტოთი არის დათარიღებული და სოხუმის მიმართ ულტიმატუმის ფორმას ატარებს. პროტოკოლის გამოქვეყნების შემდეგ მოსკოვმა სოხუმს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ფაქტობრივად „სანქცია“ დაუნესა და 1 სექტემბრიდან დაფინანსება ნაწილობრივ შეუწყვიტა.

პროტოკოლის მიხედვით, მოსკოვი სოხუმისგან დაფინანსების სანაცვლოდ ითხოვდა ეკონომიკურ საქმეებზე სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ შეთანხმების რატიფიკაციას, რუსეთის იურიდიული პირების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე საინვესტიციო პროექტების შესრულების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის უზრუნველყოფას და რუსი ინვესტორებისთვის კომერციული უძრავი ქონების ბაზარზე შეზღუდვების მოხსნას (ე.წ. აპარტამენტების შესახებ კანონის მიღებას).

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა დაფინანსების შეწყვეტას „ვალდებულებების ბალანსის დაცვის აუცილებლობით“ მიღებული გადაწყვეტილება [უნოდა](#). მისი თქმით, სოციალური დაფინანსების შეჩერება არ ნიშნავს (ურთიერთობების) გამწვავებას, საუბარია იმ ვალდებულებების ბალანსის დაცვაზე, რომელიც ორი ქვეყნის მთავრობებმა აიღეს.

საინტერესოა, რომ ბჟანიას პრესსამსახურმა არ უარყო პროტოკოლის არსებობა, თუმცა გაავრცელა [განცხადება](#), რომ ბჟანიას „არ აუღია ვალდებულება დეპუტატებისა და ოპოზიციის ლიდერების შესახებ რაიმე სახის ინფორმაციის მინოდების შესახებ“. ეს პუნქტი აფხაზეთში ყველაზე სკანდალურად მიიჩნეოს, რადგან იმ ადამიანების დასჯას ითვალისწინებს, რომლებმაც დე ფაქტო ხელისუფლების ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს.

რომელიც გადაცემულ ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების, მიმდებარე მიწის ნაკვეთისა თუ საზღვაო აკვატორიის მესამე პირებისთვის გადაცემას კრძალავს. ეს შეზღუდვა დე ფაქტო პარლამენტმა აფხაზეთში არსებული განწყობების გათვალისწინებით მიიღო, რადგან საზოგადოებისა და პოლიტიკური ჯგუფების ნაწილი „აგარაკის“ რუსეთისთვის გადაცემას „სუვერენიტეტის“ შეზღუდვის კონტექსტში განიხილავს და შიშობს, რომ აფხაზეთის „საუკეთესო ნაწილი“ მესამე პირის, რომელიმე რუსი ოლიგარქის, საკუთრებაში შეიძლება აღმოჩნდეს.

საინტერესოა, რომ ნოტის შესახებ ინფორმაცია არ გაუვრცელებია დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს, რის გამოც დე ფაქტო უწყება კრიტიკის ობიექტი [გახდა](#).

აფხაზეთში ეჭვი გაუჩნდათ, რომ რუსეთიდან მიღებული ნოტის შემდეგ შესაძ-

აფხაზეთში გავრცელებულია [მოსაზრება](#), რომ მოსკოვის მხრიდან ბჟანიაზე ზეწოლა თბილისსა და მოსკოვს შორის დაახლოებასაც შეიძლებოდა უკავშირდებოდეს. მოსკოვის მხრიდან ზეწოლის მიზეზად ასევე სახელდება ბჟანიას პოლიტიკით უკმაყოფილებაც, რადგან ბჟანიამ ვერ შეძლო რუსეთის მოთხოვნების შესრულება. ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას „დამოუკიდებლობის აღიარების დღე“ არ მიულოცა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. ეს ფაქტი მოსკოვის უკმაყოფილების ერთგვარ გამოხატულებად ჩაითვალა.

დაფინანსების შეწყვეტასთან დაკავშირებით კომენტარი [გააკეთა](#) დე ფაქტო ვიცე-პრემიერმა და ფინანსთა მინისტრმა ვლადიმერ დელბამ. მისი თქმით, „აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2022-2025 წლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მხარდაჭერის შესახებ რუსეთ-აფხაზეთის შეთანხმების თანახმად, რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უფლება აქვს ნაწილობრივ ან სრულად შეუჩეროს აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს ფინანსური დახმარება იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი მხარე არ შეასრულებს იმ შეთანხმების მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ორი ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროგრამას. გამომდინარე იქიდან, რომ ჰარმონიზაციის პროგრამის ცალკეული პუნქტები არ შესრულდა სრულყოფილად, მათი შესრულების ვადა კი 2024 წლის 1 აგვისტო იყო, რუსულმა მხარემ შეაჩერა ფინანსური დახმარება ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის და სოციალური მომსახურების სფეროებში. მხოლოდ აგვისტოში ეს თანხა შეადგინა 141.7 მლნ რუბლს. ამის მიუხედავად, აფხაზეთი მხარე თავად უზრუნველყოფს ნაკისრი საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულებას სხვა საბიუჯეტო ხარჯების შემცირების გზით. ჯამში, წლის ბოლომდე აფხაზეთი რუსეთისგან ვერ მიიღებს 700 მლნ რუბლს“.

3 სექტემბერს დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი შამბამ [პრეს-კონფერენციაზე](#) პროტოკოლის ავთენტურობა არ დაადასტურა, მაგრამ განაცხადა: „ჩვენი მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობას შესაძლოა გარკვეული სანქციები მოჰყოლოდა და სანქციები უკვე ამოქმედდა 1 სექტემბრიდან და სოციალური დაფინანსება შეუჩერდა ექიმებს, მასწავლებლებს, ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს და ა.შ.“.

შამბას შეფასებით, „ნათელია, რომ ბოლო პერიოდში ჩვენ მოკავშირეებს ბევრი უკმაყოფილება დაუგროვდათ. ურთიერთობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ეს არ არის ის, რაც დასაწყისში იყო“.

აფხაზეთში დაფინანსების შეწყვეტა ურჩობისთვის რუსეთის სადამსჯელო ღონისძიებად აღიქვას. დე ფაქტო ხელისუფლებამ ოპოზიცია და საზოგადოების ნაწილი ანტირუსული განწყობების გაღვივებაშიც კი დაადასტურა. 23 სექტემბერს ბჟანიამ სამართალდამცავი ორგანოების საკოორდინაციო შეხვედრაზე რუსეთთან ურთიერთობის საკითხზეც [ისაუბრა](#). მან დაუშვებლად მიიჩნია სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობების საკითხზე სპეკულაციები. მისი თქმით, აფხაზეთში არიან საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც სურთ პარალელის გავლება რუსეთის სახელმწიფოსა და საქართველოს ხელმძღვანელობასთან, რაც დაუშვებელია. „რუსეთი ჩვენი ძმა და მეგობარია. არავინ საუბრობს მის შემადგენლობაში შესვლაზე. აფხაზეთი – დამოუკიდებელი სახელმწიფოა და აღებული ვალდებულებები უნდა შევასრულოთ“, — განაცხადა ბჟანიამ. შეხვედრას დე ფაქტო პრემიერ-მინისტრი ალექსანდრ ანქვაბიც ესწრებოდა, რომელმაც ოპონენტებს ლექსიკა დაუწუნა და რუსეთთან დაკავშირებით სიტყვა კოლონიზატორის გამოყენებისთვის უსაყვედურა.

დაფინანსების შეწყვეტა სერიოზულ გაფრთხილებად აღიქვას აფხაზეთში. დე ფაქტო ხელისუფლება იძულებული გახდა, შიდა წინააღმდეგობის მიუხედავად, დროულად შეესრულებინა მოსკოვის მოთხოვნები და 25 სექტემბერს დე ფაქტო პარლამენტმა ეკონომიკურ საქმეებზე სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია [მოახდინა](#).

# I აპარტამენტები და აპარტოტელები: ბჟანიას მაისში

ე.წ. აპარტამენტებისა და აპარტოტელების საკითხმა 2024 წელსაც შეინარჩუნა აქტუალობა. საკითხი ბოლო წლებში ოკუპირებულ აფხაზეთში მწვავე დაპირისპირების მიზეზია. უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე (აქ ძირითადად იგულისხმება რუსეთის მოქალაქეები) უძრავი ქონების გასხვისება ყველას არ მოსწონს.

„აპარტოტელებისა და აპარტამენტების სამართლებრივი რეგულირების“ თავდაპირველი კანონპროექტის თანახმად, აპარტამენტს მიენიჭებოდა კომერციული დანესებულების სტატუსი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში. კანონპროექტის მიხედვით, აპარტამენტი არ იყო გამიზნული მოქალაქის მუდმივი ცხოვრებისთვის. ვარაუდობდნენ, რომ დე ფაქტო რესპუბლიკის მასშტაბით 30 000 აპარტამენტი აშენდებოდა.

## დე ფაქტო ხელისუფლების არგუმენტები

აპარტამენტებისა და აპარტოტელების იდეა დე ფაქტო ხელისუფლების „ინოვაციად“ მიაჩნდათ, რომელიც ცდილობდა უცხოელებისათვის (ძირითადად რუსეთის მოქალაქეები) აფხაზეთის ტერიტორიაზე ქონების შეძენის უფლება მიეცათ. იდეის განხორციელების აუცილებლობა ტურიზმის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივით მართლდებოდა.

## მონინაალმდეგეების არგუმენტები

მონინაალმდეგეების არგუმენტი ის იყო, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქონების შეძენა „ეროვნულ“ უსაფრთხოებას შეუქმნიდა საფრთხეს. აფხაზეთში განსაკუთრებით უფრთხიან უცხოეთის მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების (მიწის, სახლების) შეძენის უფლების მიცემას, რადგან შიშობენ, რომ უცხოეთში, განსაკუთრებით რუსეთში, ადგილობრივებთან შედარებით უფრო შეძლებული ადამიანები უფრო დიდ ფინანსურ რესურსებს ფლობენ, რაც მათ უძრავი ქონების შესყიდვისას უპირატესობას მიანიჭებს. გარდა ამისა, ცალკე რისკფაქტორად ისიც მიაჩნიათ, რომ აპარტამენტების მყიდველებიდან ზოგიერთი რუსეთის მოქალაქე შეიძლება ეთნიკურად ქართული წარმოშობის იყოს.

მონინაალმდეგეების შეფასებით, აფხაზური მიწების გაყიდვა და უცხოელებით დასახლება ადგილობრივების ასიმილაციას და დემოგრაფიული სურათის შეცვლას გამოიწვევს. სახელდება რიცხვები, რომ 2035 წლამდე 30 ათასამდე აპარტამენტის მშენებლობა აფხაზეთში 100 ათასი უცხო ქვეყნის მოქალაქის დასახლებას გამოიწვევს. ინიციატივის კრიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ ბჟანია საკანონმდებლო მანიპულაციის გზით ცდილობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე უძრავი ქონების გაყიდვის დაწყებას, რაც ადგილობრივი „კანონმდებლობით“ აკრძალულია.

## არა აპარტამენტებს!

ე.წ. აპარტამენტების შესახებ „კანონპროექტისადმი“ დიდი წინააღმდეგობის გამო, დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2024 წლის 15 ივლისს „კანონპროექტი“ ახალი ფორმით წარედგინა „პარლამენტს“. ძველი „კანონპროექტი აპარტოტელებისა და აპარტამენტების სამართლებრივი სტატუსის რეგულირების შესახებ“ შეიცვალა ახალი „კანონპროექტით ოჩამჩირის, ტყვარჩელისა და გალის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონის ამალღების ღონისძიებების შესახებ“. ახალი „კანონპროექტით“ „კანონის“ მოქმედების გეოგრაფია მხოლოდ აღმოსავლეთ რაიონებით იყო შემოსაზღვრული. ეს რაიონები ნაკლებად იზიდავენ ტურისტებს და სერიოზული ეკონომიკური გამოწვევის წინაშე არიან. ბჟანიას ამრით, ეს ფაქტორი „კანონპროექტისადმი“ წინააღმდეგობას შეასუსტებდა. ოპონენტების

აზრით, „კანონპროექტისთვის“ სახელის შეცვლა დე ფაქტო ხელისუფლების ხრიკი იყო, რომელიც ცდილობდა საზოგადოება შეცდომაში შეეყვანა და რეალურად იმავე შინაარსის „კანონპროექტი“ მიეღო, რასაც ერთი წლის წინ აპირებდა.

ახალი „კანონპროექტი“ 17 ივლისს [განხილეს](#) ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტში. საპილოტე პროექტით 150 ჰექტარზე გათვალისწინებული იყო 10 ათასი ნომრის მშენებლობა. ნომრები არ იქნებოდა გათვალისწინებული მუდმივი ცხოვრებისთვის. საკომიტეტო მოსმენას ბჟანიაც ესწრებოდა. სხდომა დახურული იყო და მასზე არ დაუშვეს „კანონპროექტის“ მონინაალმდეგეები. კომიტეტმა მხარი [დაუჭირა](#) „კანონპროექტის“ უახლოეს სესიაზე განხილვას. ამავე დროს, „პარლამენტის“ შენობის გარეთ შეკრებილი იყვნენ უკმაყოფილო მოქალაქეები, რომლებიც სამართალდამცველებსაც დაუპირისპირდნენ.

მთელი აფხაზეთის მასშტაბით გაიმართა მიტინგები და შეხვედრები, რომლებშიც „დეპუტატებიც“ მონაწილეობდნენ. რამდენიმედღიანმა პროტესტმა მთელი ოკუპირებული რეგიონი მოიცვა. არაერთი „დეპუტატი“ იძულებული გახდა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება საჯაროდ დაეფიქსირებინა. დაძაბულობა იმდენად გაიზარდა, რომ პოლიტიკური დაპირისპირების რისკი გაიზარდა, რის გამოც დე ფაქტო ხელისუფლებას ამ საკითხში უკან დახევა მოუწია. 25 ივლისს დე ფაქტო პარლამენტის სპიკერმა ლაშა აშუბამ ხელი [მოაწერა](#) დოკუმენტს „კანონპროექტის“ განვევის შესახებ. ამ საკითხზე „პარლამენტმა“ საგანგებო [განცხადებაც](#) გაავრცელა: „ხანგრძლივი კონსულტაციებისა და აქტიური შიდასაპარლამენტო დიალოგის შედეგად, კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი, უპირველეს ყოვლისა, უხუცესთა საბჭოს, აფხაზეთის ხალხის სამამულო ომის (იგულისხმება 1992-1993 წლის აფხაზეთის ომი) გმირების, სამეცნიერო წრეების, ინტელიგენციის წარმომადგენლებისა და სხვა არაგულგრილი მოქალაქეების აზრის გათვალისწინებით, დაძაბულობის მოხსნისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით კანონპროექტის ინიციატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება კანონპროექტის განვევისა და მასთან დაკავშირებით საკანონმდებლო პროცესის შეჩერების შესახებ“.

„კანონპროექტის“ ჩავარდნა შეიძლება შეფასდეს ბჟანიას მარცხად. მიუხედავად იმისა, რომ ბჟანია პირადად ლობირებდა „კანონპროექტის“ მიღებას და პირველ ეტაპზე მის ამოქმედებას ტურისტული თვალსაზრისით ნაკლებად მიმზიდველ რეგიონებში გეგმავდა, მას მოუწია არსებული ნეგატიური განწყობების გათვალისწინება. ამ მარცხმა, საბოლოო ჯამში, წლის ბოლოსთვის ხელი შეუწყო პოლიტიკური კრიზისის გამწვავებასაც, რაც ბჟანიას ვადამდე გადადგომა მოჰყვა.

# პოლიტიკური კრიზისი ოკუპირებულ აფხაზეთში და „კრედიტის“ გადაღობა

2024 წლის 15 ნოემბერს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში დაწყებული პოლიტიკური კრიზისი და ფაქტო ხელისუფლებასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის შეთანხმებით დასრულდა. შეთანხმების მიხედვით, და ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია 19 ნოემბერს, უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე რამდენიმე თვით ადრე, გადადგა.

## რაზე შეთანხმდნენ და ფაქტო ხელისუფლება და ოპოზიცია?

15 ნოემბერს ოკუპირებული აფხაზეთის და ფაქტო პარლამენტს რუსეთთან დადებული ე.წ. საინვესტიციო შეთანხმების რატიფიკაცია უნდა მოეხდინა, თუმცა საპროტესტო გამოსვლების გამო საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ამის მიუხედავად, „სამთავრობო“ შენობებთან შეკრებილმა მონინალმდეგეებმა რკინის დამცავი ჯებირები გაარღვიეს და „პარლამენტის“, „პრეზიდენტის ადმინისტრაციისა“ და „მთავრობის“ შენობები დაიკავეს.



ასლან ბჟანიას მონინალმდეგეები „სამთავრობო“ შენობებთან

რამდენიმედღიანი კრიზისი 19 ნოემბერს ბჟანიას გადადგომით დასრულდა. და ფაქტო ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის რვასაათიანი მოლაპარაკების შედეგად შემდეგ შეთანხმებას მიაღწიეს:

- ბჟანია წერს განცხადებას გადადგომის შესახებ;
- საპროტესტო აქციის მონაწილეები „სამთავრობო“ შენობებს ტოვებენ 19 ნოემბერს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბჟანია გამოიწვევს გადადგომის შესახებ განცხადებას;
- და ფაქტო პარლამენტი 19 ნოემბერს განიხილავს ბჟანიას გადადგომის შესახებ განცხადებას;

- სახელმწიფო მეთაურის მოვალეობას შეასრულებს ბჟანიას „ვიცე-პრეზიდენტი“ ბადრა გუნბა, რომელიც დე ფაქტო პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლებს ალექსანდრ ანქვაბს და ამ პოსტზე დანიშნავს ვალერი ბგანბას. საინტერესოა, რომ ბგანბა ორჯერ, 2014 და 2020 წლებში, ასრულებდა „პრეზიდენტის“ მოვალეობას.
- ყველა „მინისტრი“, მათ შორის, ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი, ინარჩუნებს თანამდებობას.

## რატომ დაიწყო პოლიტიკური კრიზისი?

პოლიტიკური კრიზისი დააჩქარა ე.წ. საინვესტიციო შეთანხმების რატიფიკაციის საკითხმა, რომლის შესრულებაც გათვალისწინებული იყო 2020 წლის 12 ნოემბრის ე.წ. კანონმდებლობის პარამონიზაციის პროგრამით.

2024 წელს რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ბჟანიაზე ბენოლა გაიზარდა. რუსეთიდან ბენოლის პირობებში, 30 ოქტომბერს მოსკოვში რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა მაქსიმ რეშეტნიკოვმა და აფხაზეთის დე ფაქტო ეკონომიკის მინისტრმა კრისტინა ოზგანმა ხელი მოაწერეს ე.წ. საინვესტიციო შეთანხმებას. დე ფაქტო ხელისუფლების პოზიციით ეს იყო ერთადერთი გზა აფხაზეთის ტერიტორიაზე ინვესტიციები მოეზიდათ მაშინ, როდესაც, ოპოზიციის შეფასებით, შეთანხმების რატიფიკაცია არათანაბარ პირობებში ჩააყენებდა ადგილობრივ მენარმეებს და რუს ოლიგარქებს, რომლებიც შეთანხმების ძალით არაერთ შეღავათს მიიღებდნენ და, საბოლოო ჯამში, აფხაზები დაკარგავდნენ სამუშაო ადგილებს და შემოსავლის წყაროს.

## „პრეზიდენტის“ გადადგომის პრეცედენტები

ოკუპირებულ აფხაზეთში პოლიტიკური კრიზისების მდიდარი ისტორიაა. „პრეზიდენტის“ გადადგომის პირველი შემთხვევა იყო 2014 წელს, მეორე კი – 2020 წელს. ამჯერად კრიზისის მოგვარებაში შუამავლის როლის სტატუსით პირდაპირ არ ჩაერთნენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები.

ამ საკითხზე დეტალურად იხ.:

- მამუკა კომახიას სტატია: პოლიტიკური კრიზისი ოკუპირებულ აფხაზეთში: რა მოხდა და რას უნდა ველოდოთ



## რას ითვალისწინებდა საინვესტიციო შეთანხმება?

ე.წ. საინვესტიციო შეთანხმების სრული სახელია „აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის იურიდიული პირების მიერ საინვესტიციო პროექტების განხორციელების შესახებ რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმება“. საინვესტიციო სფეროში თანამშრომლობა გათვალისწინებულია 2020 წლის 12 ნოემბრის ე.წ. კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროგრამით (აფხაზეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის საფუძველზე რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამა), რომელიც 45 პუნქტისგან შედგება. პროგრამის თანახმად, საინვესტიციო სფეროში თანამშრომლობისთვის აუცილებელი კანონმდებლობა 2023 წლისთვის უნდა ყოფილიყო მიღებული.

ე.წ. საინვესტიციო შეთანხმების ტექსტი 2024 წლის 31 აგვისტოს გამოქვეყნდა, 30 ოქტომბერს კი მოსკოვში რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრმა მაქსიმ რეშეტნიკოვმა და აფხაზეთის დე ფაქტო ეკონომიკის მინისტრმა კრისტინა ოზგანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას.

დე ფაქტო ხელისუფლების მტკიცებით, შეთანხმება აფხაზეთის ეკონომიკაში რუსული ინვესტიციების მოზიდვისკენ იყო მიმართული. შეთანხმების მიხედვით, საინვესტიციო პროექტი 2 მლრდ რუბლზე მეტი უნდა ყოფილიყო და შეიძლებოდა მოეცვა სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი წარმოების, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის (მათ შორის გაზომომარაგება, წყალმომარაგება, ტრანსპორტი) განვითარება.

ყველაზე საკამათო შეთანხმების მეხუთე მუხლი იყო, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთი მხარე ვალდებული იქნებოდა ინვესტორისთვის პროექტის განსახორციელებლად მიწის ნაკვეთი გადაეცა და მასზე აშენებულ ობიექტებზე საკუთრების უფლება დაეცვა.

ინვესტორს უცხოელი სამუშაო ძალის მოზიდვაზე კვოტები ეძლეოდა, რომლის განაწილების უფლება მასვე ექნებოდა.

რუსი ინვესტორები საინვესტიციო პროექტის განხორციელების დროს თავისუფლდებოდნენ საბაჟო გადასახადებიდან სამშენებლო მასალებსა და მოწყობილობებზე, ობიექტის ამოქმედების შემდეგ 8 წლის განმავლობაში თავისუფლდებოდნენ ქონებისა და მოგების გადასახადებისგან. ინვესტორი დღგ-ის ნაწილშიც უპირატესობით ისარგებლებდა.

რუსი ინვესტორები უპირატესობას მიიღებდნენ საინჟინრო ქსელებთან და კომუნიკაციებთან შეერთების დროს.

ინვესტორი შეძლებდა ობიექტის მესამე პირისთვის გადაცემის შემთხვევაში, მიწაზე საკუთრების უფლებაც გადაეცა.

გარდა ამისა, რუსული საკრედიტო ორგანიზაციები აფხაზეთში ფილიალების გახსნის უფლებასაც მიიღებდნენ.

# ენერგოკრიზისი და კრიპტოვალუტების წინააღმდეგ ბრძოლა

2024 წელი, წინა წლების მსგავსად, აფხაზეთში ენერგოკრიზისით დაიწყო. უფრო მეტიც, მთელი წლის განმავლობაში და, განსაკუთრებით, ბოლო თვეებში აფხაზეთში ენერგოკრიზისმა განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო. ენერგოკრიზისის მთავარი გამომწვევი მიზეზებია მოძველებული ენერგოინფრასტრუქტურა, ბოლო წლებში ელექტროენერჯის გაზრდილი მოხმარება, კრიპტოვალუტის უკანონო მოპოვება და ელექტროენერჯის გადასახადების არასათანადოდ აკრეფა. არსებული გამოწვევების ფონზე ენერგოკრიზისის მასშტაბი გაიზარდა რუსეთის პოზიციის გამოც. 2024 წლის ბოლოსთვის მოსკოვი სოხუმს ელექტროენერჯიას კომერციულ ფასად აწვდიდა, რაშიც თანხის დროულად გადახდას ითხოვდა. მაშინ, როდესაც რუსეთმა აფხაზეთს დაფინანსება შეუწყვიტა, საფასურის გადახდისთვის დე ფაქტო ხელისუფლებას სხვა სფეროებში ხარჯების შემცირება მოუწია.

მთელი წლის განმავლობაში ელექტროენერჯის მარაოსებრი გათიშვები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა, რადგან ენგურჰესის მიერ არასაკმარისი ელექტროენერჯის გამო-მუშავების პირობებში, რუსეთი ვერ უზრუნველყოფდა საჭირო რაოდენობის ელექტროენერჯის მიწოდებას. შექმნილმა ვითარებამ აფხაზეთში ბევრს 1992-1993 წლების ომის შემდგომი პერიოდი გაახსენა.

მწვავე კრიზისის ერთ-ერთი მიზეზია ელექტროენერჯის მოხმარებისთვის დაგროვილი დავალიანება. 2014 წლიდან 5 მლრდ რუბლზე მეტი დავალიანება დაგროვდა, მათ შორის მოსახლეობის [დავალიანება](#) 4 მლრდ 700 ათასს რუბლია (2024 წლის იანვრის მონაცემები). კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად ასევე ითვლება ელექტროენერჯის მოხმარებაზე არსებული დაბალი ტარიფი, რომელიც, როგორც დე ფაქტო ხელისუფლება აცხადებს, არ იძლევა ენერგოსექტორის განვითარების შესაძლებლობას. 2024 წლიდან გაიზარდა ტარიფი, რაც ფიზიკური პირებისთვის კილოვან საათზე შეადგენს 1.8 რუბლს, იურიდიული პირებისთვის – 2.6 რუბლს, კრიპტოვალუტის მწარმოებლებისთვის – 4 რუბლს. დე ფაქტო მთავრობის 2022 წლის გადამწყვეტილებით, გადასახადი 2026 წლამდე ეტაპობრივად გაიზრდება.

ელექტროენერჯის დეფიციტის მთავარი გამომწვევი მიზეზი კრიპტოვალუტის წარმოებაა, რომელიც იმდენად სარფიანი ბიზნესია, რომ ოკუპირებული აფხაზეთი, სადაც დე ფაქტო ხელისუფლების მონაცემებით 250 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, იმდენივე ელექტროენერჯიას მოიხმარს, რამდენსაც თბილისი, სადაც მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. ენერგოკრიზისის მასშტაბის შესამცირებლად 2024 წლის ბოლოს კრიპტოვალუტის წარმოების წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურდა. საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ 19 დეკემბერს ურთიერთშეუპაარაკების შედეგად „დეპუტატი“ [მეკლეს](#). ინციდენტი ეკონომიკური პოლიტიკის და რეფორმების კომიტეტის სხდომაზე მოხდა, სადაც კრიპტოვალუტის მაინინგის აკრძალვის საკითხს განიხილავდნენ. „დეპუტატებს“ კან კვარჩიასა და ადგურ ხარაზიას შორის შეუპაარაკებისას ხარაზიამ ოთხჯერ გაისროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შედეგადაც დაიჭრა კვარჩია, [ვახტანგ გოლანდია](#) კი, რომელიც მათ აშველებდა, მიყენებული ჭრილობების გამო გარდაიცვალა.

# ბრძოლა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ბრძოლა რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. დასავლეთთან დაპირისპირების ფონზე მოსკოვი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისგან დასავლური ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის საქმიანობის შეზღუდვას და მეტ კონტროლს ითხოვს. 2024 წელს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო სექტორთან ბრძოლა გაგრძელდა, თუმცა ჯერაც არ არის მიღებული ე.წ. კანონი უცხოეთის აგენტების შესახებ, რომლის მიღების ვალდებულებაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2020 წელს აიღო.

## განახლებული იერიში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგ

2024 წლის 7 თებერვალს ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ დე ფაქტო პარლამენტს განსახილველად [გაუგზავნა „კანონპროექტი“](#) „არაკომერციული ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების, რომლებიც უცხოეთის აგენტის ფუნქციას ასრულებენ, შესახებ“. „უცხოეთის აგენტის“ ფუნქციის შემსრულებლად შეიძლება გამოცხადდნენ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არაკომერციული ორგანიზაციები, თუკი ისინი ფულად სახსრებს და/ან საკუთრებას იღებენ უცხოური წყაროებიდან, და მონაწილეობენ პოლიტიკურ საქმიანობაში, მათ შორის უცხოური წყაროს ინტერესებისთვის. იგივე ვრცელდება ფიზიკურ პირებზეც. უცხოურ წყაროდ ითვლება: უცხო სახელმწიფო, უცხოეთის სახელმწიფოს სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციები და მათი სტრუქტურული დანაყოფები, უცხოეთის მოქალაქეები და სხვ. „კანონპროექტის“ მიხედვით, უნდა შეიქმნას ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების უცხოეთის აგენტების რეესტრი, რომელსაც დე ფაქტო იუსტიციის სამინისტრო აწარმოებს.

20 თებერვალს ბჟანიამ საკითხი „საზოგადოებრივი პალატის“ წევრებთანაც [განხილა](#). შეხვედრა შედისთვის დახურული იყო. შეხვედრაზე არც არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ მინვეულნი.

„კანონპროექტის“ მთავარი და ყველაზე აქტიური ლობისტი იყო ან უკვე ყოფილი დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ინალ არძინბა, რომელიც მუდმივად ესხმოდა თავს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს. მაგ., 29 თებერვალს არძინბამ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მენეჯერი ვარდონ ხოჯა შეხვედრაზე [დაიბარა](#). არძინბა ხოჯას ესაუბრა USAID-ის ვებგვერდზე UNDP-ის დაფინანსების მიზნებისა და ამოცანების შესახებ არსებული ინფორმაციის თაობაზე, სადაც ნახსენებია აფხაზეთის დეოკუპაციისა და კრემლის დამღუპველი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. არძინბას განცხადებით, ამ სახის ინფორმაცია UNDP-ის რეპუტაციას აზიანებს და ეწინააღმდეგება გაეროს წესდების მიზნებს. მისი თქმით, აფხაზეთში UNDP-ის პროექტების მთლიანი ღირებულება 20 მლნ აშშ დოლარია. არძინბამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აფხაზური საინფორმაციო რესურსების დაფინანსებაზე, რომლებიც ცდილობენ საზოგადოებრივ აზრზე დესტაბილიზაციური გავლენის მოხდენას. არძინბამ UNDP-ის წარმომადგენლებს 7 მარტამდე მოსთხოვა USAID-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის UNDP-ის ვებგვერდზე უარყოფა, ასევე, UNDP-ის მიერ დაფინანსებული საინფორმაციო რესურსების სიის გამოქვეყნება.

საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეთ გამოირჩევა. აღნიშნული ინიციატივის მოწინააღმდეგეები „კანონპროექტის“ მიღებას საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაზე ზეწოლისა და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორზე კონტროლის დამყარების მცდელობის კონტექსტში განიხილავენ. „კანონპროექტის“ მიღებას ბოლო წლებია ცდილობენ, მაგრამ უშედეგოდ.

## უარი კლაარს

სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელ ტოივო კლაარს 2024 წლის იანვრის ბოლოს აფხაზეთში დაგეგმილ ვიზიტზე უარი უთხრეს. მისი თქმით, ბოლო ექვს თვეში მას უკვე მეორეჯერ უთხრეს უარი აფხაზეთში შესვლაზე. კლაარის განცხადება 26 იანვარს გავრცელდა. როგორც კლაარმა თქვა, აფხაზეთის შედარებით ღიაობა არ უნდა გახდეს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომის მსხვერპლი. მისი შეფასებით, ბოლო წლებში მზარდი შეზღუდვებია მათ საქმიანობაზე, ასევე გაეროს სააგენტოების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების მუშაობაზე.

კლაარის განცხადებას არძინბას „უწყებაში“ მყისიერად უპასუხეს:

- პრესსამსახურის ხელმძღვანელის მილანა ცვიჟბას მიერ გავრცელებული კომენტარის სათაური იყო: „ტოივო კლაარის ქართული ოცნება“. ცვიჟბას [განცხადებით](#), კლაარის განცხადება ღიად ადასტურებს, რომ საერთაშორისო და აფხაზეთი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართული არიან ევროკავშირის პოლიტიკის – „ჩართულობა აღიარების გარეშე“ (იგულისხმება ევროკავშირის სტრატეგია, რომელიც მოიაზრებს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ჩართულობას ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარების განწვევის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული რეგიონების სტატუსის აღიარების გარეშე) განხორციელებაში. ცვიჟბამ კლაარს ტერმინების გამოყენებაც დაუწუნა და შეახსენა, რომ მის მიერ ნახსენები „გამყოფი ხაზი“, „სახელმწიფო საზღვარია“, ქალაქი „სუხუმი“ კი – „სუხუმ“. ცვიჟბამ განაცხადა: „ჩვენი კარები სამუდამოდ დაკეტილია მათთვის, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიებზე გვთვლის“.
- ევროკავშირის პოლიტიკა გააკრიტიკეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ [საიდ ოტირბამ](#) და არძინბას მრჩეველმა [მარტინ ტარკილმაც](#).
- საინფორმაციო პროექტების კოორდინატორმა მილანა ხაშბამ კი, აფხაზეთი არასამთავრობო ორგანიზაციები ისეთ მედიაგამოცემებთან (Эхо Кавказа, Jam-news) თანამშრომლობაში [დაადანაშაულა](#), რომლებიც დასავლეთის მიერ ფინანსდებიან.

კლაარმა არძინბას კრიტიკის პასუხად [განაცხადა](#), რომ „ევროკავშირი 15 წელზე მეტია აფინანსებს მნიშვნელოვან პროგრამებს აფხაზეთის მოსახლეობის მხარდასაჭერად“, რაც ჯამში 180 მლნ ევროს შეადგენს, მათ შორის 80 მლნ ევრო 2008 წლიდან [დაიხარჯა](#) მხარდაჭერის პროგრამებზე, ნდობის აღდგენის ღონისძიებებსა და დიალოგზე.

## არასამთავრობო სექტორთან ბრძოლა

2024 წელს გახშირდა შემთხვევები, როდესაც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ჟურნალისტებს, სამოქალაქო აქტივისტებსა და მოქალაქეებს რუსეთ-აფხაზეთის ე.წ. საზღვარზე რამდენიმე საათით აფერხებდნენ და ზოგჯერ მათი სამოქალაქო პოზიციითაც ინტერესდებოდნენ. გავრცელებული მოსაზრებით, რუსი მესაზღვრეები დროებით დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მიწოდებული სიების საფუძველზე აკავებდნენ, რისი მიზანიც დე ფაქტო ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ პირებზე ზეწოლა იყო. ერთ-ერთ მიზეზად ისიც სახელდება, რომ ისინი რუსეთთან ინტეგრაციის გაღრმავების მთავარ მონინააღმდეგეებად მიიჩნევიან.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე სხვადასხვა ტიპის ზეწოლის გარდა, ფიზიკური ძალადობის შემთხვევებიც გახშირდა. 15 სექტემბერს სოხუმის გარეუბანში თავს [დაესხნენ](#) ჟურნალისტს, ტელეგრამ არხის – „Абхазский портал“ ადმინისტრატორს დევიდ გობეჩიას და „ХаракПицунда“ მოძრაობის აქტივისტს ლია აგრბას. აღნიშნულ ფაქტს ოპოზიციამ და ჟურნალისტებმა პოლიტიკური ტერორი [უნდეს](#).

აფხაზეთში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკას რუსეთშიც შეუერთდნენ. რუსი პროპაგანდისტის მარგარიტა სიმონიანის [თქმით](#), აფხაზეთში მოქმედი დასავლური არასამთავრობო ორგანიზაციები ახალგაზრდობის კულტურული კოდის შეცვლას ცდილობენ და აიძულებენ მათ ბურგი აქციონ რუსეთს და გეზი აიღონ ამერიკისკენ. სიმონიანმა მაგალითად მოიყვანა USAID, რომელსაც, მისი თქმით, დოკუმენტებში უწერია, რომ ორგანიზაციის მიზანი აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში რეინტეგრაციაა.

აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები გააკრიტიკა სპეცნაზ „ახმატის“ მეთაურმა, რუსეთის გმირმა აპტი ალაუდინოვმა, რომელიც ჩეჩნეთის ლიდერ რამზან კადიროვთან დაახლოებული პირია. მისი [თქმით](#), აფხაზეთი პროდასავლურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ბრძოლაში თავისი ლიდერის გარშემო უნდა გაერთიანდეს.

*ამ საკითხზე დეტალურად იხ.:*

- მამუკა კომახიას სტატია: „[ოკუპირებული აფხაზეთი: იერიში სამოქალაქო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე](#)“.*
- მამუკა კომახიას სტატია: „[ოკუპირებული აფხაზეთი: კანონი „უცხოეთის აგენტების“ შესახებ – მომხრეები და მონინააღმდეგეები](#)“.*

# რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტი ოჩამჩირეში – როდის აშენდება ახალი რუსული სამხედრო ბაზა?

2023 წლის 4 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სოჭში ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერ ასლან ბჟანიას [შეხვედა](#). შეხვედრის დასრულების შემდეგ რუსულ საინფორმაციო პორტალზე „Известия“ გამოქვეყნდა ბჟანიას [ინტერვიუ](#), სადაც გაჟღერდა საკითხები, რომლებიც, სავარაუდოდ, პუტინთან შეხვედრაზეც განიხილეს. ამ მხრივ ყველაზე ხმაურიანი ოჩამჩირეში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტის გახსნის შესახებ გაკეთებული განცხადება იყო. პუნქტის გახსნა იგეგმება უკვე არსებულ პორტში, რომელსაც რუსი სამხედროები 2009 წლიდან იყენებენ.

## სად მდებარეობს ოჩამჩირის პორტი?

ოჩამჩირის [პორტი](#) ქალაქიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე მოქვსა და ჯუყმურს შორის ხელოვნურად შექმნილ ყურეში მდებარეობს. ამჟამინდელი მონაცემებით, პორტს, ჯამში, 10 საპატრულო გემის (პორტში 10-მდე „სობოლისა“ და „მანგუსტის“ კლასის სანაპირო დაცვის გემი/კატერი დგას) მიღება შეუძლია. 2009 წლის აპრილში რუსეთსა და აფხაზეთს შორის დაიდო შეთანხმება საერთო „სახელმწიფო“ საზღვრის დაცვის შესახებ, ხოლო ამავე წლის ბოლოს პორტში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს საპატრულო ხომალდები განთავსდა, რომლებსაც ოკუპირებული აფხაზეთის საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებათ.

ოჩამჩირის პორტი საოკუპაციო ხაზიდან 38 კმ-ში, ანაკლიიდან კი – 41 კმ-ში მდებარეობს.

## დე ფაქტო ხელისუფლების განცხადებები

ოჩამჩირეში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობის საკითხზე დე ფაქტო ხელისუფლებიდან ძირითადად სერგეი შამბა (2020 წლიდან დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი, 2024 წლის აგვისტოდან დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი) აკეთებდა განცხადებებს. 2024 წლის 12 იანვარს „РИА Новости“-სთვის მიცემულ ინტერვიუში შამბამ [განაცხადა](#), რომ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტი შეიძლება უკვე წელსვე (2024) ამოქმედდეს. შამბას თქმით, „ოჩამჩირეში ამ ეტაპზე მხოლოდ საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ უკვე წელს შეიძლება დაიწყოს პუნქტის ფუნქციონირება. ჩემთვის რთულია ვთქვა, თუ როდის ამოქმედდება პუნქტი და ზუსტად რა იქნება პუნქტში. ეს იქნება ბაზირების პუნქტი, როგორც განერილია შეთანხმებაში“.

შამბამ ამ საკითხზე კიდევ ერთი განცხადება 8 აგვისტოს გააკეთა. მან ინტერვიუ [მისცა](#) რუსულ გამოცემას „ТАСС“. შამბას განცხადებით, „ოჩამჩირეში არ იგეგმება არანაირი (რუსეთის) სამხედრო-საზღვაო ბაზის გახსნა“. მისი თქმით, პორტში განთავსებულია სასაზღვრო კატერები და დე ფაქტო რესპუბლიკა ყველანაირი სცენარისთვისაა მომზადებული.

შამბამ აღნიშნა, რომ შავი ზღვა კვლავ ხდება დაძაბულობის რეგიონი, რადგან სულ უფრო ხშირად ჩანს ნატოს საზღვაო ხომალდები და დაზვერვითი ტიპის თვითმფრინავები, რაც უკმაყოფილებასა და სიფრთხილეს იწვევს დე ფაქტო მთავრობაშიც.

## ინფრასტრუქტურული სიახლეები

ბოლო პერიოდში დასავლურ მედიაში პერიოდულად ჩნდება ცნობები ოჩამჩირის პორტში ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ. ამ ეტაპზე რთულია იმის თქმა, თუ ახალი ინფრასტრუქტურა რამდენად უკავშირდება ახალი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუდმივი ბაზირების პუნქტის მშენებლობას, მაგრამ ფაქტია, რომ 2024 წლისთვის პორტის ტერიტორიაზე გარკვეული სამუშაოები შეიმჩნევა.

BBC-ის [ინფორმაციით](#), უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ ოჩამჩირის პორტში გარკვეული ცვლილებები მოხდა, რაც შესამჩნევია სატელიტურ სურათებზეც, რომლის მიხედვითაც, 2023 წლისთვის პორტში სამი ახალი ინფრასტრუქტურა დაემატა.



Source: Google, Planet Labs PBC



ოჩამჩირის პორტი 2021 და 2023 წლების სატელიტურ სურათებზე. წყარო: BBC

2024 წლის 10 ივლისს საზღვაო თავდაცვის საკითხებზე მომუშავე ონლაინ გამოცემა Naval News გაავრცელა ინფორმაცია, რომ ოჩამჩირის პორტში რუსეთის სამხედრო ხომალდი, პროექტ 22870 ტიპის გემი, გაჩერდა. გავრცელებული სატელიტური ფოტოების მიხედვით, სამხედრო ხომალდი 28 ივნისს ნოვოროსიისკის პორტში დააფიქსირეს, 4-5 ივლისს კი – ოჩამჩირის პორტში. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პორტში მსგავსი ტიპის რუსული სამხედრო ხომალდი დაფიქსირდა. ხომალდი საბუქსირო-სამაშველო ხომალდად ითვლება, თუმცა ხშირად გამოიყენება სამხედრო მიზნებისთვისაც, სადესანტო გემების გასაცვილებლად და საომარი მოქმედებების დროს სარაკეტო სისტემის გადასატანად. მსგავსი ტიპის გემი (SB-739), რომელსაც ანტისაჰაერო რაკეტები გადააჭქონდა, 2022 წლის 17 ივნისს უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ზმეინის კუნძულთან ჩაძირეს.



2024 წლის 30 ივლისს ოჩამჩირის პორტში მიმდინარე სამუშაოების შესახებ სტატია გამოაქვეყნა ონლაინ საგამოძიებო გამოცემა Bellingcat-მა. მიუხედავად იმისა, რომ პორტში მშენებლობის შესახებ ოფიციალური წყაროებით ინფორმაცია არ გავრცელებულა, სატელიტური რუკების ანალიზის შედეგად ჩანს, რომ 2024 წელს პორტის ტერიტორიაზე აშენდა ახალი შენობები და შეიმჩნევა პერიმეტრის გაფართოების სამუშაოები. ჯერ რთულია იმის თქმა, თუ აღნიშნული სამუშაოების მიზანი რამდენად არის სამხედრო-საზღვაო ბაზირების პუნქტის მშენებლობა, მაგრამ უდავოა, რომ წლის დასაწყისში პორტის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.





მიმდინარე სამუშაოების ამსახველი სატელიტური რუკა. წყარო: Bellingcat

## რატომაა მნიშვნელოვანი?

ოჩამჩირეში რუსული ბაზის გახსნის საკითხი ყურადსაღებია უკრაინაში მიმდინარე სამხედრო აგრესიის კონტექსტში. არსებული ცნობების მიხედვით, რუსეთის ფლოტის ნაწილი გადაყვანილია ნოვოროსიისკისა და ფეოდოსიის (რომელიც ყირიმში მდებარეობს) პორტებში. იმის გათვალისწინებით, რომ ეს პორტებიც უკვე დაუცველია უკრაინული შეიარაღების მიმართ, როგორც რუსეთში მიაჩნიათ, ოჩამჩირის პორტი შეიძლება შავიზღვისპირეთის ფლოტის განთავსებისთვის ახალი უსაფრთხო ადგილი გახდეს. ამ ეტაპზე დიდი ზომის გემების მიღება შეუძლებელია, მაგრამ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებშიც კი, შესაძლებელია შედარებით მცირემასშტაბიანი სამხედრო-საზღვაო ოპერაციების წარმართვა. ოჩამჩირეში სამხედრო-საზღვაო პუნქტის მშენებლობის გაჭიანურება და ამ მიმართულებით არსებული გაურკვევლობა შეიძლება მიუთითებდეს მოსკოვის შეცვლილ პოზიციაზე, რომ მოსკოვი აღარ გეგმავს დიდი რესურსის ჩადებას ახალი პორტის მშენებლობაში, რადგან იგი უკრაინული პოტენციური იერიშების მიმართ დაუცველია.

## I საკონტეინერო ტერმინალი ორამჩირაში

2024 წელს ორამჩირის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დაიწყო. დე ფაქტო ეკონომიკის მინისტრის მრჩეველის ოქტაი ხაზირიშის [განცხადებით](#), პრაქტიკულად დასრულებულია ორამჩირეში საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობა.

ორამჩირის პორტთან ინტერმოდალური საკონტეინერო ტერმინალი საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარების მიზნით შენდება. მშენებლობა შეღავათიანი კრედიტის ფარგლებში მიმდინარეობს, რომელსაც ოკუპირებული აფხაზეთი რუსეთის მხარდაჭერით ახორციელებს. ტერმინალს აშენებს „ტრანსეკოსისტემა“, რომლის გენდირექტორის მოადგილე ოქტაი ხაზირიშია. იგი ასევე არის ეკონომიკის „მინისტრის“ მრჩეველი, ადრე კი „აფხაზეთის რკინიგზაში“ მუშაობდა.

ხაზირიშის თქმით, მათი მიზანია უზრუნველყონ ტვირთების სწრაფი მიწოდება რუსეთიდან მესამე ქვეყნებში, როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მიმართულებით. ხაზირიშს იმედი აქვს, რომ ორამჩირის პორტი საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტების სისტემაში საკვანძო რგოლი გახდება. ხაზირიშის განცხადებით, დიდია ინტერესი საკონტეინერო გადაზიდვების კომპანია-ოპერატორებისგან.

ხაზირიშის [განცხადებით](#), პირველი ტვირთი რუსეთიდან (46 ვაგონი) უკვე მიიღეს, ასევე იღებენ შეკვეთებს უცხოეთის კომპანიებისგანაც. ხაზირიშის შეფასებით, ორამჩირის პორტს რუსულ პორტებთან შედარებით უპირატესობა აქვს, რადგან ნაკლები შტორმინი დღეებია რუსეთის პორტ ნოვოროსიისკთან შედარებით, ასევე უფრო იაფია ტრანსპორტირება თურქეთის პორტებში. ამ მხრივ საინტერესოა ხაზირიშის განცხადება, რომ ივლისში ქარხნისთვის საჭირო მონცობილობებით დატვირთული 8 კონტეინერი მიიღეს, რომლის გაგზავნაც იგეგმებოდა თურქეთიდან რუსეთში (ღია წყაროებში არსებული ინფორმაციით, უცნობია გაიგზავნა თუ არა ტვირთი).

ტერმინალის სიგრძე 250 მეტრია, სიგანე – 500 მეტრი. ტერმინალთან დაკავშირებული იქნება სარკინიგზო ხაზი და ვაგონებიდან ტვირთის ჩამოცლისთვის მოწყობა პლატფორმები. ტერმინალის ტერიტორიაზე ერთდროულად შესაძლებელი იქნება 1200 კონტეინერის განთავსება. პროექტის ფარგლებში შესყიდულია ჩინური ნარმოების („Zoomlion“) თვითმავალი აშწე, რომლის ტვირთამწეობა 450 ტონაა. აშწის საშუალებით შესაძლებელი იქნება კონტეინერების ხომალდზე ჩატვირთვა.

საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობა და ბოლო წლებში „აფხაზეთის რკინიგზის“ გაზრდილი შემოსავლები (2023 წელს სარკინიგზო მომსახურების შედეგად შემოსავალმა შეადგინა 490 მლნ რუბლი მაშინ, როდესაც 2022 წელს ეს შემოსავალი შეადგენდა 250 მლნ რუბლს, 2021 წელს – 175 მლნ რუბლს, 2020 წელს – 68 მლნ რუბლს) მიუთითებს, რომ ორამჩირის პორტი ტვირთების ტრანსპორტირებისთვის აქტიურად გამოიყენება, განსაკუთრებით რუსეთსა და თურქეთს შორის. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, ცალკეული თურქული კომპანიების გემები ხართული არიან ტვირთების გადაზიდვაში და ოკუპირებული აფხაზეთის აკვატორიაში თევზჭერაში. თავის მხრივ, რუსეთი, რომელიც დასავლეთის მხრიდან სანქციების ქვეშ იმყოფება, სანქციების გვერდის ავლის მიზნით აფხაზეთის ინფრასტრუქტურას არალეგალური ვაჭრობისთვის იყენებს.

## სანდარი გაღწეაში

2024 წლის 21 იანვარს, დილის 4 საათზე, სოხუმში „მხატვართა კავშირის“ შენობაში, ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში ხანდარი [გაჩნდა](#). დე ფაქტო კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დინარა სმირის განცხადებით, „საფრთხის ქვეშ არის აფხაზი მხატვრების ოქროს ფონდი“. „სურათების ეროვნული გალერეის“ დირექტორმა სურამ საკანიამ [განაცხადა](#): „ეს არის ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკარგი. შეუძლებელია შეფასდეს ზარალი, რომელიც აფხაზურ კულტურას მიადგა“. რუსეთის კულტურის მინისტრმა ოლგა ლიუბიმოვამ ხანდარს „ნამდვილი ტრაგედია“ [უწოდა](#).



ხანდარი გალერეაში

არსებული ინფორმაციით, დაახლოებით, 4000 ნამუშევარი დაინვა, მათ შორის სრულად განადგურდა ალექსანდრე [ჩაჩბა-შერვაშიძის](#) 300-მდე ნამუშევარი. [გადარჩა](#) დაახლოებით 200-მდე ნახატი. ხანდარს [გამოეხმაურა](#) საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი: „სინანულს გამოვხატავ იმის გამო, რაც როგორც დე ფაქტო ხელმძღვანელობის, ასევე რუსი ოკუპანტების მხრიდან კულტურული იდენტობის უგულვებლყოფის პირდაპირი შედეგია. მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას, ყურადღება გაამახვილოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხზე“. საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მზადყოფნა [გამოთქვა](#) დაზიანებული ექსპონატების რესტავრაციის პროცესში დახმარებაზე, თუმცა ეს შეთავაზება სოხუმში რეაგირების გარეშე დატოვეს. რესტავრაციის პროცესში რუსი რესტავრატორების ჯგუფი [ჩაერთო](#).

ტობის უგულვებლყოფის პირდაპირი შედეგია. მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას, ყურადღება გაამახვილოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხზე“. საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მზადყოფნა [გამოთქვა](#) დაზიანებული ექსპონატების რესტავრაციის პროცესში დახმარებაზე, თუმცა ეს შეთავაზება სოხუმში რეაგირების გარეშე დატოვეს. რესტავრაციის პროცესში რუსი რესტავრატორების ჯგუფი [ჩაერთო](#).

# აჩივრების რეგისტრაციის საპარლამენტო აქტივობის მოხსენიება საინფორმაციო რეგიონში

2024 წლის 9 ივნისს ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში არალეგიტიმური საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. „პარლამენტში“ მაჟორიტარულ-პროპორციული საარჩევნო სისტემით 17 „დეპუტატი“ – ერთმანდატიან ოლქში, 17 „დეპუტატი“ კი პარტიული სიებით აირჩიეს. მე-8 მოწვევის „პარლამენტში“ 34 „დეპუტატი“ 5 წლის ვადით აირჩიეს.

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რეგულარულად ტარდება არალეგიტიმური საპარლამენტო არჩევნები. 1992 წელს ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების



დე ფაქტო პრეზიდენტი ალან გაგლოვი „საარჩევნო“ უბანზე

შემდეგ პირველი „არჩევნები“ 1994 წელს ჩატარდა, შემდგომი კი – 1999, 2004, 2009, 2014 და 2019 წლებში. პირველი მოწვევის „პარლამენტად“ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში (1990 წელი) არჩეულ „უმაღლეს საბჭოს“ მოიხსენიებენ.

„არჩევნები“ 75 საარჩევნო უბანზე ჩატარდა, მათ შორის 71 ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობდა, 2 – ჩრდილოეთ ოსეთში, 1-1 – მოსკოვსა და სოხუმში.

„არჩევნებში“ მონაწილეობა მიიღო 108 მაჟორიტარმა კანდიდატმა და 7 პოლიტიკურმა პარტიამ. ე.წ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 12 პარტიიდან მხოლოდ 7 დაარეგისტრირა:

- „ერთიანი ოსეთი“ – ყოფილი დე ფაქტო პრეზიდენტის, ანატოლი ბიბილოვის, მხარდაჭერით სარგებლობს.
- „სახალხო პარტია“ – ყოფილი დე ფაქტო პრეზიდენტის, ედუარდ კოკოითის, მხარდაჭერით წლებია სარგებლობდა, თუმცა ამ „არჩევნებში“ კოკოითის ძველი მოწინააღმდეგე ძამბოლატ თედევის ახლად შექმნილ „ალანის პატრიოტებთან“ შეკრა პოლიტიკური ალიანსი.
- „ხალხის ერთობა“ – გასულ წლებში პარტია „ერთიანი ოსეთის“ მოკავშირე იყო.
- „ნიხას“ – დე ფაქტო პრეზიდენტის, ალან გაგლოვის, მხარდაჭერით სარგებლობს.
- კომუნისტური პარტია
- „ერთობა“
- „ირი ფარნ“

„არჩევნებში“ მონაწილეობა მიიღო „ამომრჩეველთა“ 72.32%-მა. „არჩევნებში“ მონაწილე შვიდი პარტიიდან 7%-იანი ბარიერი მხოლოდ ოთხმა გადალახა: „ერთიანი ოსეთი“ – 31.74% (6 942 ხმა), „ნიხასი“ – 30.59% (6 690), „სახალხო პარტია“ – 16.07% (3 514), კომუნისტური პარტია – 7.12% (1 557).

პროპორციული „არჩევნების“ შედეგების მიხედვით, „პარლამენტში“ „დეპუტატების“ რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა: „ერთიანი ოსეთი“ – 6, „ნიხასი“ – 6, „სახალხო პარტია“ – 3, კომპარტია - 2.

რაც შეეხება მაჟორიტარულ „არჩევნებს“, აქ უპირობო ფავორიტია „ნიხასი“. პარტიის წინასაარჩევნო ტაქტიკით, ზოგიერთმა კანდიდატმა დამოუკიდებლად იყარა კენჭი, თუმცა, რეალურად, მათ გაგლოევის მხარდაჭერა ჰქონდათ. მაჟორიტარულ „არჩევნებში“ პარტიის მიერ წარდგენილი ცხრა კანდიდატიდან ოთხმა გაიმარჯვა, თუმცა, „არჩევნების“ შემდეგ რამდენიმე „ნიხასთან“ თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. რაც შეეხება სხვა პარტიებს, „ერთიანი ოსეთს“ 2 მაჟორიტარი ჰყავს, „სახალხო პარტიას“ – 2, კომპარტიას - 1, „ირონს“ – 1, დამოუკიდებელი - 1.

„არჩევნების“ შედეგებისა და „საპარლამენტო“ თანამდებობების განაწილების მიხედვით, გაგლოევის პარტია ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ჯგუფად ჩამოყალიბდა, რაც გაგლოევს „პარლამენტზე“ კონტროლისა და 2027 წლის „საპრეზიდენტო არჩევნებისთვის“ უკეთესად მომზადების საშუალებას მისცემს.

*ამ საკითხზე დეტალურად იხ.:*

- მამუკა კომახიას სტატია: არალეგიტიმური საპარლამენტო არჩევნები ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში: როგორი იქნება ახალი „პარლამენტი“*
- მამუკა კომახიას სტატია: არალეგიტიმური საპარლამენტო არჩევნები ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში და „ქართული საკითხი“: რას უნდა ველოდოთ*

# ნათო აბოგს უან რუსეთი ცხინვალის რეგიონის შეერთებაზე?

2024 წლის 17 მარტს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პარლამენტის სპიკერმა ალან ალბოროვმა „PIA Новости“-სთან ინტერვიუში [განაცხადა](#), რომ „სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხს მოსკოვთან მჭიდრო კოორდინაციაში განიხილავს, ჩვენი ორმხრივი ურთიერთობებისა და შეთანხმებების გათვალისწინებით“. რუსეთთან შეერთების საკითხი პერიოდულად აქტუალური ხდება და ამ საკითხზე დე ფაქტო ლიდერებიც აკეთებენ განცხადებებს. 2023 წელს დე ფაქტო პრეზიდენტმა ალან გაგლოევმა წლიური ანგარიშის წარდგენის დროს იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის შემადგენლობაში მალე შევიდოდნენ.

ამ ეტაპზე მოსკოვი თავს იკავებს შეერთების მოთხოვნა დააკმაყოფილოს. 2022 წლის მაისში რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ მოსკოვი „რესპუბლიკის შეერთების მხრივ არანაირი ნაბიჯების გადადგმას არ გეგმავს“. ამ საკითხზე 2024 წლის 21 მარტს [კომენტარი](#) გააკეთა რუსეთის ფედერაციის საბჭოს ვიცე-სპიკერმა კონსტანტინ კოსაჩევმა. მან თქვა, რომ „სამხრეთ ოსეთის ინტეგრაციის პროცესი, რუსეთის შემადგენლობაში მისი შესვლის ჩათვლით, არ ღირს ხელოვნურად ვატრიალოთ ერთ ან მეორე მხარეს, ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ორმხრივი ურთიერთობების ფორმატი პასუხობს მათ ინტერესებს“.

ამ ეტაპზე ოკუპირებული რეგიონის ანექსიაზე უარით მოსკოვი თბილისისადმი კეთილგანწყობის დემონსტრირებას ცდილობს, რადგან დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციების პირობებში რუსეთისთვის საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, რომელიც, მოსკოვის შეფასებით, პრაგმატიზმით გამოირჩევა, მისაღებია.

## I ახალგორის რაიონის რუსიფიკაცია

2024 წელს ოკუპირებული ახალგორის რაიონის ქართულენოვანმა საშუალო სკოლამ ბოლო კლასი გამოუმჯავა. 2025 წლიდან სკოლის მოსწავლეები რუსულენოვანი სკოლის ატესტატებს მიიღებენ. ქართულენოვანი სკოლების დახურვის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2017 წელს იმ დროინდელმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა მიიღო. ქართულენოვანი სკოლების დახურვა ეტაპობრივად მიმდინარეობდა. ჯერ დაწყებითი კლასები დაიხურა, შემდეგ კი ყოველწლიურად ერთი კლასი იხურებოდა. 2024 წელს ბოლო კურსდამთავრებულებმა დაამთავრეს ქართულენოვანი სკოლა.

ქართულენოვანი სკოლების აკრძალვის ფონზე ე.წ. რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულებით, „ლენინგორის (ახალგორის სახელწოდება ოკუპირებულ რეგიონში) ქართულ საშუალო საერთოსაგანმანათლებლო სკოლას“ ეწოდა „ლენინგორის საშუალო საერთო-საგანმანათლებლო სკოლა N2“. სკოლის ახალ დასახელებაში აღარ არის სიტყვა „ქართული“.

საყურადღებოა, რომ რაიონში ასევე ფუნქციონირებს ღია განათლების ცენტრი, რომელიც არმავირის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ინიციატივითა და რუსეთის განათლების სამინისტროს მხარდაჭერით დაფუძნდა. მსგავსი ცენტრია გახსნილი გალის რაიონშიც. ცენტრის მიზანია რუსული ენის პოპულარიზაცია. ოკუპირებული რეგიონების ქართულენოვან რაიონებში ცენტრის გახსნა ადგილობრივი მოსახლეობის რუსიფიკაციას და ეროვნული იდენტობის შესუსტებას ისახავს მიზნად. ქართულენოვანი სკოლების დახურვის შემდეგ ამგვარი პოლიტიკის განხორციელება უფრო მარტივი იქნება. ქართულენოვანი სკოლები აღარ ფუნქციონირებს გალის რაიონშიც, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია.

ახალგორის რაიონში ადგილობრივი ქართული მოსახლეობის რაოდენობა ძალიან შემცირდა 2019 წლიდან, როდესაც ე.წ. საკონტროლო-გამშვები პუნქტები დახურეს (2022 წლიდან ნაწილობრივ გაიხსნა). საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილების შეზღუდვის შემდეგ ოკუპირებული რეგიონი ბევრმა ეთნიკურად ქართველმა ახალგაზრდამაც დატოვა.

## I ნა შიიქლება მოხელს 2025 წელს?

უკრაინაში მიმდინარე რუსეთის სამხედრო აგრესია 2025 წელსაც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იქნება, რომელიც ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესებზეც მოახდენს გავლენას. რუსეთის წინაშე არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები პირდაპირ თუ ირიბად აისახება ოკუპირებულ რეგიონებზეც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქტიური სამხედრო მოქმედებები შემცირდება ან შეწყდება.

განსაკუთრებით მძიმე გამოცდა ელის აფხაზურ-რუსულ ურთიერთობებს, რომელიც 2024 წლის მეორე ნახევარში უკიდურესად დაიძაბა. მოსკოვის მოთხოვნების შეუსრულებლობამ ოკუპირებულ აფხაზეთზე რუსეთის მხრიდან წნეხი გაზარდა. თუ ადრე მოსკოვი სოხუმის პროტენზიებს ანგარიშს უწევდა, ბოლო პერიოდში მოსკოვის მიდგომები უფრო ხისტი გახდა და სოხუმისგან ნაკისრი ვალდებულების დროულ შესრულებას ითხოვს.

2024 წლის სექტემბრიდან ოკუპირებული აფხაზეთი პრაქტიკულად რუსეთის სანქციების ქვეშ იმყოფება, რის გამოც ვეღარ ხერხდება ხელფასების დარიგება, პრობლემაა ელექტროენერჯის მომარაგების მხრივაც, გართულებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რუსეთში ექსპორტი და მოსალოდნელია პრობლემები ტურიზმის სფეროშიც. ამ მხრივ ოკუპირებული აფხაზეთის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება, რადგან, როგორც ჩანს, მოსკოვში საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებაზე წნეხი გაზარდონ და სოხუმს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხისტი მეთოდების გამოყენების გზით აიძულონ.

რუსეთი სოხუმისგან შემდეგი საკითხების გადაწყვეტას ელის: ე.წ. საინვესტიციო შეთანხმების რატიფიკაცია, ე.წ. აპარტამენტებისა და აპარტოტელების შესახებ კანონის მიღება, ე.წ. უცხოეთის აგენტების შესახებ კანონის მიღება და დასავლური საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვა, ენერგოსექტორის ძირითადი ობიექტების რუსეთისთვის გადაცემა. ეს ის ძირითადი თემებია, რაშიც რუსეთისთვის დათმობა საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნაწილს აფხაზური „სუვერენიტეტის“ დაკარგვად მიაჩნია. თუმცა, მოსკოვში სხვანაირად ფიქრობენ. კრემლის შეფასებით, დროა სოხუმში სერიოზულად მოეკიდონ მოსკოვის მოთხოვნებს და უზრუნველყონ რუსეთის, როგორც სტრატეგიული მოკავშირისა და უსაფრთხოების გარანტის ინტერესების დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, 2025 წელს მოსკოვის წნეხი კიდევ უფრო გაიზრდება, რაც რეალურ ცხოვრებაში ნიშნავს რუსეთის მხრიდან დაფინანსების შემცირებას/შეწყვეტას, ენერგოკრიზისს, ნაკლებ რუს ტურისტს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტში შეფერხებებს. რთულია ასეთ ზენოლას ოკუპირებულმა აფხაზეთმა გაუძლოს, რადგან მთლიანად რუსეთზე დამოკიდებული. შესაბამისად, გემოჩამოთვლილ საკითხებში სოხუმის მხრიდან უკან დახევას და რუსეთის გავლენის კიდევ უფრო გაზრდას უნდა ველოდოთ.

რუსეთის ზენოლისა და არაერთი გამოწვევის პირობებში ჩატარდება ვადამდელი არალეგიტიმური საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც 2025 წლის 15 თებერვალს არის დანიშნული. გამარჯვებულ კანდიდატს რთული პერიოდი ელის. ვინც არ უნდა იყოს გამარჯვებული, ასლან ბჟანიას გუნდის წევრი თუ ოპოზიციის წარმომადგენელი, პირველ რიგში, მოსკოვის მიერ დაწესებულ სანქციებთან გამკლავება მოუწევს, რაც მოსკოვის მოთხოვნების შესრულების გარეშე რთულ ამოცანად გამოიყურება.

რუსეთისთვის დაწესებული სანქციების პირობებში აფხაზეთის ტერიტორია და ინფრასტრუქტურა სანქციების გვერდის ავლის შესაძლებლობას ქმნის. 2025 წელს სრულად უნდა ამოქმედდეს სოხუმის აეროპორტი, რომელსაც რუსული კომპანია აშენებს. პრაქტიკულად დასრულდა საკონტინენტო ტერმინალის მშენებლობა ოჩამჩირეში, რაც ტვირთების გადა-



ზიდვის შესაძლებლობას გაზრდის. ჯერჯერობით გაურკვეველია ოჩამჩირის პორტში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზირების პუნქტის გახსნის საკითხი. რუსეთმა ამ მხრივ შეიძლება გეგმები შეცვალოს, რადგან ოჩამჩირის პორტიც აღარ არის დაუცველი უკრაინული იერიშისგან.

2022-2023 წლებში აფხაზეთსა და ბელარუსს შორის ურთიერთობის დინამიკამ გააჩინა ეჭვები, რომ მინსკს შესაძლოა ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა ელიარებინა, თუმცა 2024 წელს ამ მხრივ რაიმე გარღვევა არ მომხდარა, უფრო პირიქით, ურთიერთობის ინტენსივობა შემცირდა. მსგავსი ტენდენციის გაგრძელება მოსალოდნელია 2025 წელსაც. ოკუპირებული რეგიონების „საგარეო პოლიტიკის“ მხრივ მთავარი საკითხი იქნება სირიის ახალი ხელისუფლების მიდგომა ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებისადმი.

2024 წელს, არალეგიტიმურ საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემდეგ, ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტის ალან გაგლოევის კონტროლი პოლიტიკურ ცხოვრებაზე გაიზარდა. შესაბამისად, 2025 წელს ნაკლებად არის მოსალოდნელი შიდა პოლიტიკური რყევები. რუსეთის მხრიდან სტაბილური ფინანსური დახმარების პირობებში, ცხინვალის რეგიონში ვითარება უცვლელი დარჩება. რუსეთ-საქართველოს არსებული ურთიერთობების პირობებში, ასევე ნაკლებად არის მოსალოდნელი რეგიონის რუსეთთან შეერთების საკითხის დღის წესრიგში დაბრუნება.

# პროექტის „კრემლის პოლიტიკის გზამკვლევი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში“ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ვებგვერდთან ინტეგრირებული საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალია, რომლის მიზანია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კრემლის მიერ განხორციელებული პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებების, ანალიტიკური ცენტრების, ექსპერტებისა და მედიასაშუალებების წარმომადგენლების ინფორმირება.

ღია წყაროების მონიტორინგის საფუძველზე პროექტის ფარგლებში ხელმისაწვდომია საინფორმაციო-ანალიტიკური შინაარსის მასალები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსეთთან ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებზე, მათ შორის, რუსეთის იმ საჯარო მოხელეებისა და უწყებების შესახებ, რომლებიც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით კრემლის პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელი. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში შესაძლებელია გავეცნოთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ორმხრივ ურთიერთობებში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგიას და მხარეებს შორის გაფორმებულ ორმხრივ შეთანხმებებს. ასევე მივიღოთ ინფორმაცია ამ რეგიონებში რუსეთის მაღალჩინოსნების ვიზიტების შესახებ.

პროექტი 2018 წლის დეკემბრიდან ხორციელდება და ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე.